ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

472
1966

კრებული
СБОРНИК
ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

6

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — 1966

ეროვნული
ბიბლიოთეკა

10.360

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წ. 5 მაისის ბრძანება № 488

სამტრედიის, გურჯაანის, ყვარლისა და ახმეტის რაიონების სკოლამდელ დაწესებულებათა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა სამტრედიის, გურჯაანის, ყვარლისა და ახმეტის რაიონების სკოლამდელ დაწესებულებათა სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობა და განმტკიცდა ნივთიერი ბაზა, მათ მუშაობაში კვლავ აქვს ადგილი სერიოზულ ნაკლოვანებებს.

აღმზრდელთა ერთი ნაწილი არ ემზადება მეცადინეობისათვის, არ იმაღლებს კვალიფიკაციას, არ ეცნობა მეთოდურ ლიტერატურას. მუშაობაში არ იყენებს თვალსაჩინოებას, ღრმად ვერ სწვდება აღზრდის პროგრამის მოთხოვნებს, რის შედეგად მათ მიერ ჩატარებული მეცადინეობანი უინტერესოა და ბავშვებისათვის მოსაწყენი.

კერძოდ, სამტრედიის რაიონის შემოწმებულ საბავშვო ბაღებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა არა დგას სათანადო სიმაღლეზე. ქ. სამტრედიის მესამე საბავშვო ბაღის უფროსი ჯგუფის აღმზრდელმა თ. ბერაიამ პედაგოგიურად გაუმართავი მეცადინეობა ჩაატარა მშობლიურ ენაში; იგი მომზადებული არ იყო მეცადინეობისათვის, მოფიქრებული არ ჰქონდა თხრობის თანმიმდევრობა, არასწორ შეკითხვებს აძლევდა ბავშვებს, რის გამოც ბავშვებმა ვერ გაიგეს მისი თხრობის შინაარსი. ამავე ქალაქის № 2 საბავშვო ბაღის აღმზრდელმა ნ. ზამთარაძემ თვლა-ანგარიშის ელემენტების ცოდნის განმტკიცების მიზნით ჩაატარა დიდაქტიკური თამაში „შემდეგი წყვილი". თამაში აგებული უნდა ყოფილიყო თვლა-ანგარიშში გავლილი მასალის საფუძველზე, ფაქტიურად თამაში ჩატარდა „ათი" რიცხვის ფარგალში, მაშინ როდესაც ბავშვები არ იცნობდნენ რიცხვ „რვას" და მის შედგენილობას.

ყვარლის № 1 საბავშვო ბაღის აღმზრდელმა ჯ. მეტრეველმა ლ. ტოლსტოის მოთხრობის „სამი დათვი“ თხრობა-თამაშად ვრცელი შესავალი გაუკეთა, რომ ბავშვებმა ინტერესი დაკარგეს თვით მოთხრობის მოსმენისადმი; ამასთან, თხრობის დროს აღმზრდელი უშვებდა როგორც აზრობრივ, ასევე ენობრივ შეცდომებს აღზრდელის მიერ დასმულ შეკითხვებზე აღსაზრდელთა უმრავლესობა აქტივობას არ იჩენდა. ასევე არასწორად ჩაატარა შეცადინება ფიზიკურ აღზრდაში ამავე საბავშვო ბაღის აღმზრდელმა მ. ავაზაშვილმა. შილდის საბავშვო ბაღის საშუალო ჯგუფის აღმზრდელმა ზ. მირიანაშვილმა სწორად ვერ წარმართა მეცადინეობა თვლა-ანგარიშში, მეცადინეობის მსვლელობისას რიცხვი „ოთხის“ გაგონებისა და მისი შედგენილობის შესწავლისათვის ვერ გამოიყენა თვალსაჩინოება და ნაცვლად 20 წუთისა მეცადინეობა დაამთავრა 10 წუთში. ასევე ვერ აითვისა მეცადინეობისათვის განკუთვნილი დრო მშობლიურ ენაში გურჯაანის რაიონის სოფ. ველისციხის საბავშვო ბაღის აღმზრდელმა მ. გოგაშვილმა.

ახმეტის პირველი საბავშვო ბაღის უმცროს ჯგუფში ?ფსიკალურ აღზრდაში მეცადინეობის მსვლელობისას უწესრიგობა იყო. მუსიკის მასწავლებელი ნ. დავიდოვა ნაკლებად მუშაობს ბავშვთა მუსიკალური სმენის გასავითარებლად, ბავშვები ვერ ახერხებენ რითმულ მოძრაობებს მუსიკის თანხლებით.

აღსანიშნავია აღმზრდელების ქ. აღსანიშვილის, თ. ჯავახიშვილის, ლ. ლოლიაშვილის (ყვარლის № 1 ს/ბ), ლ. გურაბანიძის, ლ. ლაბარტიანის (შილდის ს/ბ), ნ. ჯაჯვაძის (მუკუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის საბ. ბაღი), მ. ვალაშვილის, ა. ჩხეტიანის (ახმეტის რაიონის მატაანის საბავშვო ბაღი), ფ. ზამბახიძის, ე. შანიძის, მ. ღვინერიას (სამტრედიის რაიონის № 2, 3 საბავშვო ბაღები) სუსტი მუშაობა. ახმეტის რაიონის № 2 ბაგა-ბაღში, სადაც გაერთიანებული არიან ორი თვიდან 7 წლამდე ასაკის ბავშვები ბაგის ასაკის ბავშვებისათვის არ არის ინდივიდუალური დღის რეჟიმი და მენიუ; არ აქვთ ჩანაწერები ბავშვების დახასიათებისა და ყოველდღიური დაკვირვების შესახებ, არ გააჩნიათ ბავშვთა ასაკის შესაფერისი ინვენტარი; ადგილი აქვს ორ-ორი ბავშვის ერთად წოლის შემთხვევებს. ანალოგიური მდგომარეობაა სამტრედიის ბამბის სართავი ფაბრიკის ბაგა ბაღშიაც.

შემოწმებული რაიონების სკოლამდელ დაწესებულებებში სათანადო ყურადღება არ ექცევა მუშაობის სწორად აგებვა-აღრიცხვის

საქმეს. ბევრი აღმზრდელი არ იცნობს აღზრდის პროგრამას, არაკანონიერად სწორად გეგმავს და აღრიცხავს სხვადასხვა რეჟიმულ მომენტს. განსაკუთრებით არასწორად გეგმავენ დილით ბავშვთა მიღებას და თამაშს (აღმზრდელები ლ. შენგელია—სამტრედიის რაიონის კულაშის საბავშვო ბაღი, ვ. წულეისკირი—სამტრედიის ბამბის საქსოვი ფაბრიკის საბავშვო ბაღი, რ. მზეკალიშვილი, მ. ქანდურიშვილი—ყვარლის № 2 საბავშვო ბაღი,—ნ. მიუკაშვილი გურჯაანის № 1 საბავშვო ბაღი და სხვ.). ზოგიერთი აღმზრდელი ვერ ფლობს ასაკით შერეულ ჯგუფში მუშაობის ხერხებსა და მეთოდებს. მეცადინეობის დროს ჯგუფს არ ჰყოფს ქვეჯგუფებად, ვერ არჩევს ასაკისათვის შესაფერის სააღმზრდელო მასალებს, რის გამოც ბავშვების ერთმანაწილმა არ იცის პროგრამით გათვალისწინებული საკითხები.

სუსტია საბავშვო ბაღების გამგეების კონტროლი და ხელმძღვანელობა პედაგოგიური პერსონალის მუშაობაზე. ისინი მხოლოდ დრო და დრო ესწრებიან აღმზრდელებს მეცადინეობებზე, არ ანალიზებენ მათ მუშაობას და არ აძლევენ საჭირო მითითებებს. სამტრედიის რაიონის კულაშის საბავშვო ბაღის გამგემ თ. ქართველიშვილმა არც კი იცის, რომ ერთი და ორჯგუფიანი საბავშვო ბაღის გამგე ვალდებულია დღეში სამი სააღმზრდელო საათი ჩაატაროს ჯგუფში. ბევრი ბაღის გამგის სამუშაო გეგმა ფორმალურ ხასიათს ატარებს და არ გამომდინარეობს საბავშვო ბაღის პრაქტიკულ მოთხოვნილებიდან.

შემოწმებული რაიონების სკოლ.-მდელ დაწესებულებათა გამგეებსა და აღმზრდელებს აკლიათ პედაგოგიური დახელოვნება, უმრავლესობას არა აქვს გავლილი ნასწავლებელთა დახელოვნების კურსები, ადგილებზე კი აღმზრდელთა და გამგეების მეთოდური სექციები და მეთოდგაერთიანებები არ მუშაობენ.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ბავშვთა ესთეტიკურ აღზრდას, შენობის ექსტერიერისა და ინტერიერის გემოვნებითა და ლამაზად გაფორმებას. ყვარლის № 2 საბავშვო ბაღში ორ ორი კარადა ერთმანეთზეა შედგმული, შიგ უწესრიგოდაა მიყრილ-მოყრილი სათამაშოები და სხვა სასწავლო ნივთები. ზოგიერთ საბავშვო ბაღში ნაკლებად ზრუნავენ ბავშვებში კულტურულ-ჰიგიენური ჩვევების ჩასანერგად, ბავშვები კერძს ხელით ჭამენ, ხოლო ამავე რაიონის შილდისა და ენისელის საბავშვო ბაღებში ბავშვებს პურსა და მოხარშულ კვერცს თეფშების გარეშე აწვდიან. გურჯაანის რაიონის ველისცხის საბავშვო ბაღში მოუგვარებელია ბავშვებისათ-

ვის წყლის მიწოდების საქმე; ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა აღზრდელებისა და აღმზრდელების ჩაცმულობას, არაა მოწყობილი სათამაშოების კუთხე. გურჯაანის რაიონის მუკუზნის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღის ჯგუფის კედელზე ჭარბად და უსისტემოდაა მოთავსებული სხვადასხვა სურათები.

საბავშვო ბაღებში ადგილი აქვს დღის რეჟიმის დარღვევის შემთხვევებს. ყვარლის № 2 საბავშვო ბაღში (გამგე ლ. ჭელიძე) სადილი ნაცვლად პირველი საათისა გაიცა 3 საათზე და სადილის დამთავრება გაჭიანურდა 4 საათამდე, მაშინ როდესაც 4 საათზე სამსარი უნდა გაცემულიყო; ახმეტის რაიონის სოფ. მატაანის, ქისტაურისა და სხვა ბაღებში შაბათობით მუშაობას დღის ორ-სამ საათზე ამთავრებენ. ასეთივე მდგომარეობაა გურჯაანის № 1 საბავშვო ბაღში. ახმეტის რაიონის სოფ. მატაანის საბავშვო ბაღში ყურადღება არ ექცევა მენიუ-მოთხოვნილების სწორად შედგენას— მენიუ ხშირ შემთხვევაში არ არის დახურული; სასურსათო საწყობის შემოწმებისას აღმოჩნდა ზედმეტი შაქრის ფხვნილი 630 გრ. ხოლო დანაკლისი — 4 კგ კამფეტი და 1,5 კგ ნამცხვარი. სამტრედიის რაიონის კულაშის საბავშვო ბაღში (გამგე თ. ქართველიშვილი) დაკლდათ 6,200 კგ ხორცი. გურჯაანის რაიონის მუკუზნის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღში ბავშვებს ერთფეროვანი კერძები ეძლევათ.

შემოწმებული რაიონების თითქმის ყველა ბაღი შეგუებულ შენობებშია და საჭიროებენ რეკონსტრუქციას და კაპიტალურ რემონტს. კეთილმოუწყობელია ეზოები.

სუსტია სამტრედიის, გურჯაანის, ყვარლისა და ახმეტის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეების კონტროლი და დახმარება სკოლამდელი დაწესებულებებისადმი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სამტრედიის, გურჯაანის, ყვარლისა და ახმეტის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა (კ. ძნელაძე, მ. თოდაშვილი, დ ლაფაჩიშვილი, ს. სალაძე):

ა) სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე განიხილონ ეს ბრძანება და სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შესახებ ნარკვევი მასალები და გაატარონ საჭირო ზომები სკოლამდელ დაწესებულებათა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად;

ბ) იმ სკოლამდელ დაწესებულებათა გამგეებსა და აღმზრდელებს, რომლებიც ვერ მუშაობენ სათანადოდ, ვერ ახორციელებენ კონტროლს პროდუქტების სწორად გაცემაზე და ხარჯვაზე, დაადონ მკაცრი ადმინისტრაციული სასჯელი და მათ მიერ მიღებული ზომების შესახებ მ/წლის 30 ივნისამდე აცნობონ განათლების სამინისტროს.

2. სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ (უფროსი გ. აბდუშელიშვილი) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1966 წლის 29 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის ერთობლივი დადგენილება

1966 წელი, 20 მაისი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წ. 8 სექტემბრის ერთობლივი დადგენილების „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სკოლისგარეშე დაწესებულებების რესპუბლიკური დათვალიერების ჩატარების შესახებ“ შესრულების შემოწმების შედეგები ზუგდიდის, სამტრედიისა და გურჯაანის რაიონებში

ზუგდიდის, სამტრედიისა და გურჯაანის რაიონების პიონერთა და მოსწავლეთა სახლები გარკვეულ დახმარებას უწევენ სკოლებს, პიონერულ ორგანიზაციებს რაზმეულების ლენინური დათვალიერების ჩატარებაში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სკოლისგარეშე დაწესებულებების რესპუბლიკური დათვალიერების ჩატარებისათვის მზადების საქმეში გამოირჩევა სამტრედიის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი (დირექტორი ამხ. დ. თევზაძე), რომელიც აქტიურად ეხმარება რაიონის სკოლებს, პიონერულ რაზმეულებს, რაზმებს, პიონერულ აქტივს პიონერული რაზმეულების ლენინური დათვალიერების ჩატარებაში. პიონერთა და მოსწავლეთა სახლში შექმნილია პიონერული შტაბი „ცისარტყელა“. რაზმეულების დათვალიერების ცალკეული პუნქტების მიხედვით შტაბის მიერ მოწყობილია სხვადასხვა სახის სტენდები „იკაშკაშით ლენინურო ვარსკვლავებო“, „ჩვენი საუკეთესო რაზმეულები“ და სხვ. რეგულარულად ტარდება პიონერხელმძღვანელთა სემინარებიც, რომელთა თემატიკა ლენინური დათვალიერების ძირითად საკითხებს მოიცავს და საინტერესოდ არის შედგენილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერთა და მოსწავლეთა სახლებში კარგად აქვთ გაფორმებული მეთოდური მუშაობის სტენდი, სადაც გამოფენილია ყველა სახის მეთოდური ლიტერატურა და მოგვარებულია მისი გამოყენების საქმეც. პიონერთა სახლი დახმარებას უწევს სკოლებს ლენინის კუთხეებისა და მუზეუმების შექმნაში. წრეები მტკიცედ დადგენილი ცხრილის მიხედვით მუშაობენ. თითოეულ წრეს თავისი პროგრამა, სამუშაო გეგმა, აღრიცხვის ჟურნალი აქვს და მეცადინეობაც რეგულარულად ტარდება. სამტრედიელი მოსწავლეები თავიანთი ნიჭისა და მისწრაფების მიხედვით ჩაბმული არიან სხვადასხვა წრეების მუშაობაში.

პიონერთა და მოსწავლეთა სახლის პიონერული აქტივის წრის (ხელ-ლი ამხ. ა. ჩაჩუა) გეგმა კარგად არის შედგენილი. წრეში ჩაბმული პიონერები განსაზღვრული პროგრამის გაგლის შემდეგ პიონერ-ინსტრუქტორის კვალიფიკაციას და სათანადო მოწმობას ღებულობენ.

ნორჩ ელექტროტექნიკოსთა წრის (ხელ-ლი ვ. ზარიეკი) წევრებმა გასულ წელს კონკურსის—„ნორჩი ტექნიკოსები სამშობლოს“ შემაჯამებელ რესპუბლიკურ გამოფენაზე გაგზავნეს რადიომიმღები, გამაძლიერებელი და ცვლადაბადი დენის გამასწორებელი ხელსაწყო, ამჟამად რესპუბლიკური გამოფენისათვის სხვადასხვა ტიპის ტრანზისტორულ რადიომიმღებებს, დაბალი სიხშირის გამაძლიერებელსა და ხმის სიხშირის გენერატორს ამზადებენ.

კარგად მუშაობს ამ პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ნორჩ ფოტომოყვარულთა წრე (ხელ-ლი გ. გაიშევი). ამ წრემ ფოტომოყვარულთა რესპუბლიკურ კონკურსში ორჯერ მიიღო მონაწილეობა და იგი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ მე-2 ხარისხის დიპლომით იქნა დაჯილდოებული.

ახლა პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ქორეოგრაფიული ჯგუფი, მხატვრული კითხვისა და ლიტერატურის წრე ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის ემზადებიან.

ზუგდიდის პიონერთა და მოსწავლეთა სახლთან საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილ ქორეოგრაფიულ ჯგუფებს კარგად ხელმძღვანელობენ რ. ბულია, გ. წოწონავა რ. ჩეიძე, ასევე კარგად წარმართავს პიონერული თეატრის მუშაობას პენსიონერი რეჟისორი ალ. მაღლაკელიძე. მისი ხელმძღვანელობით თეატრმა დადგა და ნორჩ მაყურებლებს უჩვენა მ. ჯაფარიძის პიესა-ზღაპარი—„ზა

ადამიანს“. ქ. ზუგდიდის სკოლების პიონერ მოსწავლეთათვის რა-ტარდა ლიტერატურული დილა, რომელიც ილია ჭავჭავაძის, ირ. აბაშიძისა და გ. ლეონიძის შემოქმედებას მიეძღვნა. ოქტომბრელ-თათვის კი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარები-სადმი მიძღვნილი ზეიმი მოეწყო თემაზე: „ვუმღერ მზიურ საქარ-თველოს“, „ლენინისადმი“, „გამარჯობა ახალო წელო“ და სხვ.

პიონერთა და მოსწავლეთა სახლის პიონერებმა არა ერთხელ დაათვალიერეს ენგურჰესის მშენებლობის ობიექტები, რუხის ციხე, ლეო ქიაჩელის სახლმუზეუმი და ცაიშის სამკურნალო წყლები. მო-ეწყო შორეული ექსკურსიებიც.

რაიონის სკოლები და თვით პიონერთა და მოსწავლეთა სახ-ლი კარგად ემზადებიან ბავშვთა მხატვრული თვითშემოქმედებითი კოლექტივების რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის.

საწერო მუშაობის კარგ მაგალითს იძლევიან გურჯაანის რაი-ონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ავიამოდელისტთა წრე (ხელ-ლი ი. ოდიშელიძე), სახვითი ხელოვნების წრე (ხელ-ლი ამხ. გ. ყოჩაშვილი), პიონერული თეატრი (ხელ-ლი ლ. ანთაძე) და ნორჩ ელექტროტექნიკოსთა წრე (ხელ-ლი მ. ბერიშვილი). ამ წრის წევ-რების მიერ დამზადებული ხელსაწყოები პერიოდულად იგზავნება კონკურსებსა და ბავშვთა შემოქმედების რესპუბლიკურ კონფერენცი-ებზე. ამჟამად რესპუბლიკურ გამოფენაზე გაგზავნილია მოსწავლე-ების მიერ დამზადებული ელექტროფიცირებული გამრავლების ტა-ბულა, გლობუსი ყველა განედისათვის და ელექტროფიცირებული რუკა, ხოლო პიონერულმა თეატრმა ნორჩ მაყურებელს უჩვენა ტუ-რიჩინის პიესა „სოკარი სასამართლო“ და ლიფშიცის პიესა-ზღა-პარი „ჯადოსნური „კალენდარი“.

მშობლიური მხარის შესწავლის მიზნით ისინი პერიოდულად აწყობენ ექსკურსიებს. გურჯაანელმა მოსწავლეებმა დაათვალიერეს ორჯონიკიძე, ბათუმი, ბორჯომი, ბაკურიანი, ხოლო უფროსკლა-სელთათვის გაიმართა ორდღიანი ლაშქრობა შემდეგი მარშრუტით გურჯაანი—ამაღლების ციხე.

პიონერთა და მოსწავლეთა სახლთან კარგად მუშაობენ საზო-გადოებრივ საწყისებზე შექმნილი ქორეოგრაფიული (ხელ-ლი გ. გურგენიძე), მხატვრული ტანვარჯიშის (ხელ-ლი ი. ოსტროვსკაია) და მაგიდის ჩოგბურთის (ხელ-ლი ზ. შაოშვილი) წრეები. პიონერთა და მოსწავლეთა სახლის წრის წევრები და რაიონის სკოლების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეები პერიოდულად მონაწილეობენ რესპუბლიკური მნიშვ-
ნელობის მასობრივ ღონისძიებებში.

გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ ლენინური დათვალიერების რეს-
პუბლიკურმა საგუშაგო „ცისარტყელამ“ რაიონის რიგი სკოლების
რაზმები და მისი წევრები „ცისარტყელას“ ალმებით დააჯილდოვა.
მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის მიზნით ზემოთ ჩამოთვლილ პი-
ონერთა და მოსწავლეთა სახლების ინიციატივით ყოველი სასწავლო
წლის დასასრულისათვის ეწყობა რაიონის მოსწავლეთა მხატვრული
თვითშემოქმედების დათვალიერება.

ერთგვარი წარმატებების მიუხედავად, ზემოაღნიშნულ პიო-
ნერთა სახლების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვა-
ნებებს.

დასახელებული რაიონების პიონერთა და მოსწავლეთა არც
ერთ სახლს არა აქვს შესაფერისი ბინა. მიუხედავად იმისა, რომ
სამტრედიის პიონერთა სახლი ცალკე შენობაშია მოთავსებული,
ის მაინც ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებას.

ზუგდიდის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი სამი წელია შე-
ხიზნულია მასწავლებელთა სახლის შენობაში, ხოლო გურჯაანის
პიონერთა სახლი გურჯაანის რუსული საშუალო სკოლის დარბაზში.

ზუგდიდის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი, რომლის მშე-
ნებლობა ადგილობრივი სახსრებით სამი წელია მიმდინარეობს,
ექსპლოატაციაში მხოლოდ მ/წლის სექტემბერში გადაეცემა.

დასახელებული რაიონების პიონერთა და მოსწავლეთა სახლე-
ბის წრეებს არ გააჩნიათ სათანადო ტექნიკური ბაზა, უვარგისია
სახარატო, სადურგლო დაზგები და სხვა ხელსაწყო-იარაღები. ტექ-
ნიკური წრეების მუშაობა ხშირად ფერხდება საჭირო მასალების
უქონლობის გამო.

გურჯაანის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის 10 ფინანსი-
ური წრიდან სამი წრე ჩუმლაყის საშუალო სკოლაშია ჩამოყალიბე-
ბული და მათში მხოლოდ ჩუმლაყის საშუალო სკოლის მოსწავლეე-
ბია გაერთიანებული.

ზუგდიდის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მასობრივი მუ-
შაობის ორგანიზატორი ლ. სიჭინავა აღნიშნული თანამდებობისა-
თვის შეუფერებელია. მას არა აქვს პიონერთა შორის მუშაობის
გამოცდილება.

ზუგდიდის პიონერთა და მოსწავლეთა სახლში (დირექტორი
ამხ. ერ. თოდუა) წრეების მეცადინეობა არ ტარდება რეგულარუ-

ლად, მტკიცედ დადგენილი ცხრილის მიხედვით. ზოგიერთი წრის ხელმძღვანელი ჩატარებული მუშაობის აღრიცხვას არ აქცევს სათანადო ყურადღებას. სუსტია წრეების მუშაობაზე პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორის კონტროლი და ხელმძღვანელობა.

ზუგდიდისა და გურჯაანის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის სამუშაო გეგმა ზოგადია, გეგმაში არ არის გათვალისწინებული მასობრივი მუშაობის, პიონერული აქტივის, უფროს პიონერ-ხელმძღვანელებსა და უფროსკლასელებთან მუშაობის, მათთან მაღალ იდეურ დონეზე მომზადებული ღონისძიებების ჩატარებისა და შორეულ სკოლებისადმი დახმარების საკითხები.

პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მუშაობის გეგმა არ განუხილავთ ზუგდიდისა და გურჯაანის განათლების განყოფილებას და ალკკ რაიონული კომიტეტების ბიუროებს.

ზუგდიდის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ნორჩ რადიომოყვარულთა, ელექტროტექნიკოსთა, ავიამოდელისტთა და ნორჩ კინომოყვარულთა წრეების (ხელ-ლი ა. შენგელაია) მუშაობა ფაქტიურად ჩაშლილია.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს პიონერული აქტივის წრე (ხელ-ლი ე. ბულია). მისი სამუშაო გეგმა არ პასუხობს პიონერულ აქტივთან მუშაობის ამოცანებს, იგი ვერ ერკვევა ამ საქმის ძირითად საკითხებში.

დასახელებული რაიონების სახალხო განათლების საბჭოებისა და ალკკ კომკავშირის რაიკომების ბიუროების სხდომებზე დროულად არ განუხილავთ „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სკოლის გარეშე საბავშვო დაწესებულებების რესპუბლიკური დათვალიერების ჩატარებისა შესახებ“ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 3 სექტემბრის ერთობლივი დადგენილება. არც ერთ დასახელებულ პიონერთა და მოსწავლეთა სახლთან არ არის მოწყობილი პიონერთა ოთახი, სათანადო მატერიალური ბაზის უქონლობის გამო გაძნელებულია ტექნიკური და სახვითი ხელოვნების წრეების ნორმალური მუშაობა. სხვადასხვა სახის წრეებს შორის არ არის დაცული სათანადო პროპორცია.

ზუგდიდის პიონერთა და მოსწავლეთა სახლში ოცი ფინანსიური ჯგუფიდან მხოლოდ ოთხია ტექნიკური, ხოლო სამტრედიის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლში კი—სამი.

ზუგდიდისა და გურჯაანის პიონერთა და მოსწავლეთა სახლების წრეები სასწავლო წლის განმავლობაში არ ატარებენ მასობრივ ღონისძიებებს და სასწავლო წელს ამთავრებენ ჩატარებული მუშაობის შეჯამების გარეშე. ეს წრეები სათანადოდ არ ეხმაურებიან ისეთ მასობრივ რესპუბლიკურ ღონისძიებებს, როგორიცაა „ნორჩი ტექნიკოსები სამშობლოს“, „მოსწავლეთა სასწავლო შემოქმედებითი კონფერენცია“, „ნორჩ ფოტომოყვარულთა კონკურსი“, „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“, „ნორჩ მხარეთმცოდნეთა კონკურსი“ და სხვ.

ზუგდიდის, სამტრედიისა და გურჯაანის რაიონების პიონერთა და მოსწავლეთა სახლებში წრეების ხელმძღვანელებად ზოგჯერ გამოყენებულია არასპეციალისტები, საწრეო მუშაობისათვის შეუფერებელი პირები. ასე, მაგალითად, სამტრედიის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მხატვრული კითხვისა და ლიტერატურის წრის ხელმძღვანელად დანიშნულია უმაღლესდაუმთავრებელი გ. მელქაძე, მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელად გ. ქორიძე, გურჯაანის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ნორჩ ნატურალისტთა წრის ხელმძღვანელად—საშუალო განათლების მქონე ამხ. ი. ოდიშელიძე. ზუგდიდის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელად მუშაობს არასპეციალისტი ლ. სიჭინავა, ხოლო პიონერული აქტივის წრის ხელმძღვანელად ამ საქმისათვის შეუფერებელი ე. ბულია

სამტრედიისა და გურჯაანის პიონერთა და მოსწავლეთა სახლებთან არ არის შექმნილი მომღერალთა პიონერული გუნდები.

ზუგდიდისა და გურჯაანის პიონერთა და მოსწავლეთა სახლებში დათვალიერების შესაბამისად დღემდე არ არის შემუშავებული ღონისძიება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის აღსანიშნავად.

აღნიშვნის ღირსია სამტრედიის განათლების განყოფილების გამგის კ ძნელაძისა და ალკკ სამტრედიის რაიკომის მდივნის ბ. ფოცხვერაშვილის დამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა და დახმარება სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაობის დათვალიერების მიმდინარეობაზე.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია ადგენენ:

1. დაევალოს ზუგდიდის, სამტრედიისა და გურჯაანის განათლების განყოფილების გამგეებს ამხ. მ. ნარმანიას, კ. ძნელაძესა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მ. თოდაშვილს, ალკ კომკავშირის რაიკომის მდივნებს ამბ. თ. ჯღამაძეს, ბ. ფოცხვერაშვილსა და რ. დურგლიშვილს:

ა) მიიღონ გადამჭრელი ზომები პიონერთა და მოსწავლეთა სახლების მუშაობისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად;

ბ) პიონერთა და მოსწავლეთა სახლებს ცენტრალიზებული ფონდებიდან შეუძინონ ტექნიკური და სხვითი ხელოვნების წრეებისათვის აუცილებელი ხელსაწყო იარაღები და სასწავლო მასალები;

გ) ყოველი სასწავლო წლის პირველ და მეორე ნახევარში, აგრეთვე ზაფხულის დასაწყისში განიხილონ და დაამტკიცონ პიონერთა და მოსწავლეთა სახლების მასობრივი მუშაობის გეგმები;

დ) მიღებულ იქნეს ცნობად ზუგდიდის, სამტრედიის, გურჯაანის განაოლების განყოფილებათა გამგეებისა და ალკ რაიკომების მდივნების განცხადება, რომ მ/წლის 20 აგვისტოდან სამუშაოდან განთავისუფლებულნი იქნებიან ზუგდიდის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მასობრივი მუშაობის ორგანიზატორი ლ. სიჭინავა, პიონერული აქტივის წრის ხელმძღვანელი ე. ბულია, სამტრედიის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მხატვრული კითხვისა და ლიტერატურის წრის ხელმძღვანელი გ. მელქაძე, მხარეთმცოდნეობის წრის ხელ-ლი გ. ქორძე; გურჯაანის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ნორჩ ნატურალისტთა წრის ხელ-ლი რ. ბერიაშვილი და მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი ი. ოდიშელიძე;

ე) მომავალ სასწავლო წლის დასაწყისისათვის გადასინჯონ პიონერთა და მოსწავლეთა სახლების მუშაკთა და წრის ხელმძღვანელთა შემადგენლობა, არ დანიშნონ პიონერთა და მასობრივი მუშაობის ორგანიზატორებად და წრის ხელმძღვანელებად შეუფერებელი პირები;

ვ) ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ პიონერთა და მოსწავლეთა სახლებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისათვის სპეციალური ღონისძიებების შემუშავებასა და მის განხორციელებაში;

ზ) პერიოდულად შეისწავლონ პიონერთა და მოსწავლეთა სახლების მუშაობა, საკითხი განიხილონ სახალხო განათლების საბჭოსა და ალკკ რაიკომების ბიუროების სხდომებზე და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის;

თ) პიონერთა და მოსწავლეთა სახლებთან საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნან რაიონული მნიშვნელობის მომღერალთა გუნდები, ქორეოგრაფიული ჯგუფები, ხალხურ საკრავთა ანსამბლები, გააუმჯობესონ სახლებთან არსებული სახვითი ხელოვნების ყველა წრის მუშაობა და უზრუნველყონ ბავშვთა მხატვრული თვითშემოქმედების რესპუბლიკურ ოლიმპიადაში მათი აქტიური მონაწილეობა;

ი) გააძლიერონ ადგილობრივი საშეფო საწარმოო დაწესებულებათა საქმიანობა პიონერთა და მოსწავლეთა სახლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და სასწავლო მასალებით უზრუნველყოფის მიზნით;

კ) გადაჭრით გააუმჯობესონ პიონერთა და მოსწავლეთა სახლების მუშაობა, გადაქციონ ისინი რაიონში პიონერული, კლასგარეშე, სკოლისგარეშე მუშაობის ცენტრებად და უზრუნველყონ ყოველ რესპუბლიკურ მასობრივ ღონისძიებებში („კონკურსი ნორჩი ტექნიკოსები სამშობლოს“, „ნორჩ ფოტომოყვარულთა კონკურსი“, „მოსწავლეთა სასწავლო შემოქმედებითი კონფერენცია“, „ნორჩ მხარეთმცოდნეთა კონკურსი“, „ნორჩ ნატურალისტთა დახმარება სკოლას“) წრეების ჩაბმა ისე, რომ სასწავლო წლის ბოლოს თითოეულ ფინანსურ წრეს, წინასწარ დადგენილი გეგმის საფუძველზე, შეეძლოს მონაწილეობა მიიღოს რესპუბლიკურ ღონისძიებებში.

2. განათლების სამინისტროს საგეგმო საფინანსო სამმართველომ (ამბ. ალ. კვაჭაძე) მომავალი სასწავლო წლიდან ტექნიკური ხასიათის წრეების (ნორჩ გეომშენებელთა, ნორჩ ავტომობილისტთა) რაოდენობის გაზრდის მიზნით დამატებით გათვალისწინოს სამტრედიისა და გურჯაანის განათლების განყოფილების ბიუჯეტში ორ-ორი ფინანსური ჯგუფის გახსნა

3. დაევალოს ზუგდიდის განათლების განყოფილების გამგეს მ. ნარმანიას, ალკკ ზუგდიდის რაიკომის მდივანს თ. ჯღამაძეს, გურჯაანის განათლების განყოფილების გამგეს მ. თოდაშვილს, ალკკ გურჯაანის რაიკომის მდივანს რ. დურგლიშვილს სუსტი მუმუშაობისათვის დაადოს შესაფერისი სასჯელი ზუგდიდის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორს ე. თოდუას, ტექნიკური წრეების ხელმძღვანელს ა. შენგელაიასა და გურჯაანის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორს მ. მოსესოვს.

4. დაევალოს გურჯაანის განათლების განყოფილების გამგეს მ. თოდაშვილს, ალკკ გურჯაანის რაიკომის მდივანს რ. დურგლიშვილს ჩუმლაყის საშუალო სკოლაში ჩამოყალიბებული პიონერთა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და მოსწავლეთა სახლის ფინანსური წრეები გადმოიტანონ პიონერთა და მოსწავლეთა სახლში და შეუქმნან სათანადო ბაზა მათ ნორმალური მუშაობისათვის.

5. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ალკკ საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებმა ნოაწყონ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებების დათვალიერების მიმდინარეობის შემოწმება და უზრუნველყონ ამ დაწესებულებების მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესება.

6. დაევალოს განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სასკოლო განყოფილებას და პიონერთა რესპუბლიკურ საბჭოს პერიოდულად შეამოწმონ ადგილებზე დათვალიერების მიმდინარეობა.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი
თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს ალკკ ცენტ-
რალური კომიტეტის მდივანი
ი. ჩერქეზია

ეროვნული ბიბლიოთეკა

10.360

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წ. 26 მაისის ბრძანება № 566

ქ. თბილისის მუშა ახალგაზრდობის ზოგიერთ სკოლაში მოსწავლეთა დისციპლინის მდგომარეობის შესახებ

ქ. თბილისის მუშა ახალგაზრდობის სკოლების პედაგოგიური კოლექტივები ერთგვარ დადებით მუშაობას ატარებენ მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის განსამტკიცებლად.

ამ მხრივ შესწავლილი სკოლებიდან გამოირჩევა 27-ე ცვლიანი სკოლა (დირექტორი გრ. კუტუბიძე). სკოლაში მტკიცედ დაინერგა ზედმეტ საათებში აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეებთან მუშაობა; ასე მაგალითად, მათემატიკის მასწავლებლები ლ. ლივშიცი, დ. ანდრიაძე, ფიზიკოსები გ. სეფიაშვილი, ლ. მიქაძე, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი თ. ოდიშარია ყოველ შაბათს მუშაობენ ასეთ მოსწავლეებთან.

ამ სკოლის მასწავლებლობა მოხერხებულად იყენებს ცალკეული სეგნების პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო მასალებს მუშა მოსწავლეებში შეგნებული დისციპლინის, შრომისა და სწავლისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღსაზრდელად.

მოგვარებულია მასწავლებელთა და მოსწავლეთა მორიგეობა, რაც გარკვეულად უწყობს ხელს სკოლაში მუშაობის ნორმალური პირობების შექმნას.

აღნიშნულ სკოლას მტკიცე, საქმიანი ურთიერთობა აქვს სათანადო წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან; კლასის ხელმძღვანელები და მასწავლებლები საჭიროებისას არიან წარმოებაში და ეცნობიან მათ მოსწავლეთა შრომით საქმიანობას. თავის მხრივ ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი, წყალმოწყობილობის ქარხნების, პირველი სამკერვალო და სამოდელო ფეხსაცმელების ფაბრიკების პროფკავშირის ადგილკომებისა და კომკავშირის კომიტეტების მუშაკები ხშირად დადიან სკოლაში და ეცნობიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათთან დასაქმებული ახალგაზრდების სწავლა-აღზრდის საკითხებს.

სკოლა გარკვეულ ზეგავლენას ახდენს იმ მოსწავლეთა მშობლებზე, რომლებიც არასაკმაოდ ზრუნავენ თავიანთი შვილების აღზრდაზე: X კლასის მოსწავლე ა ცუდად სწავლობდა და ამასთან შენიშვნული იყო უდისციპლინობაში. მისი მამა, სკკპ წევრი, არის ერთ-ერთი ქარხნის მუშაკი, რომელიც, როგორც მშობელი, არ იდგა თავის სიმაღლეზე. საკითხი მის შესახებ დაისვა პარტიის ხელმძღვანელი ორგანოს წინაშე. იგი მკაცრად ბქნა გაფრთხილებული, რასაც თავისი დადებითი შედეგი მოჰყვა.

სკოლის წლიურ და კლასის ხელმძღვანელთა ნახევარწლიურ სამუშაო გეგმებზე მოფიქრებული აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებანია დასახული.

სკოლის დირექტორისა და სასწავლო დარგში მისი მოადგილის მიერ მოსმენილი გაკვეთილების ანალიზებში საჭირო ყურადღება ექცევა მოსწავლეთა შორის დისციპლინის მდგომარეობის საკითხებს.

ყოველივე ზემოხსენებულისა და სხვა ღონისძიებათა გატარების შედეგად, ქ. თბილისის მუშა ახალგაზრდობის 27-ე ცვლიან სკოლაში არ გვხვდება მოსწავლეთა მიერ დისციპლინის უხეში დარღვევის ფაქტები. მიმდინარე სასწავლო წელს არც ერთ მოსწავლეს არ დაკლებია ნიშანი ყოფაქცევაში.

მაგრამ, ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ მუშა ახალგაზრდობის ზოგიერთ სკოლაში ადგილი აქვს მოსწავლეთა მიერ დისციპლინის უხეში დარღვევის შემთხვევებს; ამ საკითხზე აღნიშნული იყო თბილისის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე და ქალაქის მილიციის სამმართველოს მიმდინარე წლის 5 მარტით დათარიღებულ წერილში.

ხშირია მოსწავლეთა მიერ სასწავლო მეცადინეობაზე არასაპატიო მიზეზით სრულიად გამოუცხადებლობის ან დაგვიანებით გამოცხადების შემთხვევები; მუშა ახალგაზრდობის მე-12 სკოლაში (დირექტორი ალ. ხაბეიშვილი), მაგალითად, ა. წ. 26 აპრილს 215 მოსწავლიდან გაკვეთილებზე მხოლოდ 93 ესწრებოდა.

მიმდინარე სასწავლო წელს მუშა ახალგაზრდობის მე-13 სკოლაში (დირექტორი ლ. აზნაუროვი) გაცდენილ იქნა 12.391 საათი, მათ შორის საპატიო მიზეზით 8 365, არასაპატიო მიზეზით კი— 4.026 საათი.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ სკოლაში, ამ ნაკლის დაფარვის მიზნით, მიმართავენ თვალის ახვევის ცდასაც: საკლასო ჟურნალში არ აღნიშნავენ გაკვეთილზე გამოუცხადებელ ყველა მოსწავლეს; მუშა ახალგაზრდობის 24-ე სკოლის (დირექტორი ნ. ცომაია) X^2 კლასში. კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და ქალაქის მილიციის სამმართველოს მიერ რეიდის ჩატარების დღისათვის, 23 მოსწავლიდან გაკვეთილებს 11 ესწრებოდა, სხვების გაცდენა ჟურნალში არ იყო აღნიშნული; VIII² კლასის 18 მოსწავლიდან მხოლოდ 6 ესწრებოდა, საკლასო ჟურნალში კი მხოლოდ 4 მოსწავლის გამოუცხადებლობა იყო ფიქსირებული.

მუშა ახალგაზრდობის ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელი და პედაგოგიური კოლექტივი ნაცვლად სისტემატურ, თანმიმდევრულ, პედაგოგიურ-აღმზრდელობით ღონისძიებათა გატარებისა, მიმართავს მოსწავლეთა მასობრივად დასჯის, შიშველი ადმინისტრირების მეთოდს; ასე მაგალითად, მუშა ახალგაზრდობის მე-12 სკოლის 1965 წლის 18 ნოემბრის პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით, X კლ. მოსწავლე მ. ჯ. გაირიცხა სკოლიდან, XI კლასის მოსწავლეებს ა. ბ.-ს, გ. ჩ.-ს, VII კლასის მოსწავლეებს ბ. ს.-ს, ხ. ო.-ს, ყოფაქცევაში დაეწერათ ნიშანი „4“, IX კლ. მოსწავლე გ. ს. კი რომელიც სკოლის დირექტორის 1965 წლის 30 სექტემბრის № 15 ბრძანებით, გარიცხული იყო სკოლიდან მასწავლებელ შ. ნაცვლიშვილისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების გამო, აღდგენილ იქნა სკოლაში. გაკვეთილების სისტემატური გაცდენის მიზეზით, აქ სიიდან ამოურიცხავთ მოსწავლეები.

ზოგი სკოლა არასაკმაო მუშაობას ატარებს მოსწავლეთა კონტინგენტის შესანარჩუნებლად. მუშა ახალგაზრდობის 30-ე სკოლას, (დირექტორი გრ. ხვედელიძე) 198 მოსწავლიდან სხვადასხვა მიზეზით ჩამოშორდა 70 მოსწავლე. ასევე დიდია სკოლიდან გასულ მოსწავლეთა რაოდენობა მუშა ახალგაზრდობის მესამე სკოლაშიც (დირექტორი გ. მაისურაძე); დღემდე ამ სკოლიდან გავიდა 40 მოსწავლე.

არის შემთხვევები, როცა მუშა ახალგაზრდობის ზოგ სკოლაში ირიცხებიან მოსწავლეები, რომლებიც ჯერ კიდევ არც ერთ წარმოებაში არ არიან დასაქმებულნი.

მუშა ახალგაზრდობის მე-3, 24-ე, მე-4, მე-10, 30-ე და რესპუბლიკური დაუსწრებელი სკოლების ზოგ მოსწავლეს აღმოაჩნდა სხვადასხვა სახის დანა და მჩხვლეტავი, ბასრი საგნები.

30-ე და 34-ე მუშა ახალგაზრდობის სკოლებში (დირექტორები გრ. ხვედელიძე და ი. ბუზუკაშვილი) ადგილი აქვს მოსწავლეთა არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადებისა და მათ მიერ მასწავლებელთა სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევებს.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს კლასის ხელმძღვანელთა ერთი ნაწილი: ისინი ფორმალურად ადგენენ, ზოგ შემთხვევაში სრულიად ერთნაირ, საღამზრდელო გეგმებს და ნაკლებ დაინტერესებას იჩენენ მათში გათვალისწინებული საკითხების შესასრულებლად; ასე იქცევიან, მაგალითად, მუშა ახალგაზრდობის მე 12 სკოლის VIII, IX² და XI² კლასების ხელმძღვანელები—შ. მუმლაძე, თ. გრატიშვილი და ბ. თოფჩიშვილი.

მუშა ახალგაზრდობის ზოგი სკოლის ხელმძღვანელები—დირექტორები და სასწავლო დარგში მათი მოადგილეები არასაკმაო ღონისძიებებს ახორციელებენ მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის განსამტკიცებლად.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქ. თბილისის მუშა ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებლებმა და კლასების ხელმძღვანელებმა მკვეთრად გააუმჯობესონ მუშაობა მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის განსამტკიცებლად, რისთვისაც შემოქმედებითად, ცალკეული საგნების სწავლების თავისებურებათა მიხედვით და კლასის მოსწავლეთა შემადგენლობის გათვალისწინებით, დაგეგმონ თავიანთი მუშაობა და უზრუნველყონ ქმედითი აღმზრდელობითი ღონისძიებების განხორციელება

2. სკოლების დირექტორებმა და სასწავლო დარგში მათმა მოადგილეებმა:

ა) მიაღწიონ გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ზუსტად აღრიცხვას და საკლასო ჟურნალებში სათანადო ჩანაწერების გაკეთებას. წინასწარ კარგად მოფიქრებული, მიზანმსწრაფი ღონისძიებანი გაატარონ მოსწავლეთა მიერ სასწავლო მეცადინეობის არასაპატიო მიზეზით გაცდენის მინიმუმამდე დასაყვანად;

ბ) საწარმოო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან და მშობლებთან მტკიცე, საქმიანი კავშირის დამყარებით, სკოლის მთელი პედაგოგიური კოლექტივის სისტემატურ, თანმიმდევრულ ღონისძიებათა გატარებით მიაღწიონ სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტის შენარჩუნებას და მათი სწავლა-აღზრდის გაუმჯობესებას; იზრუნონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუშაოზე იმ მოსწავლეთა მოსაწყობად, რომლებიც დღემდე ჯერ არიან დასაქმებულნი წარმოებაში;

გ) გადაჭრით გაძლიერონ აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეებთან მუშაობა;

დ) სისტემატური მეთვალყურეობა დააწესონ მოსწავლეთა ქცევაზე სკოლაში, საწარმოში, საზოგადოებრივ ადგილებსა და სანახობით დაწესებულებებში;

ე) მილიციის ადგილობრივ ორგანოებთან და სათანადო კომკავშირულ ორგანიზაციებთან მტკიცე, საქმიანი კავშირის განხორციელებით მიაღწიონ მოსწავლეთა მიერ დანების, მჩხვლეტავი, ბასრი საგნების ტარების აღკვეთას;

ვ) უკუაგდონ მათ საქმიანობაში შემჩნეული მოსწავლეთა ხელაღებით მსობრივად დასჯის, შიშველი ადმინისტრირების რეციდივები.

3. ქ. თბილისისა და მისი რაიონების განათლების განყოფილებებმა:

ა) პერიოდულად შეისწავლონ მუშა ახალგაზრდობის სკოლებში მოსწავლეთა დისციპლინის მდგომარეობა და, საჭიროების შემთხვევაში, საკითხი განსახილველად შეიტანონ ადგილობრივ ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა ორგანოებსა და სახალხო განათლების საბჭოში;

ბ) ადმინისტრაციული სასჯელი დაადონ ამ ბრძანებაში აღნიშნულ არადამაკმაყოფილებლად მომუშავე სკოლების მუშაკებს.

4. საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობას.

ხაფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1966 წლის 20 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წ. 26 მაისის ბრძანება № 569

ყრუ მოქალაქეთა საერთო და პროფესიული განათლების, შრომითი მოწყობისა და მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

ამასთან ერთად ვაქვეყნებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 14 მაისის № 283 დადგენილებას—„ყრუ მოქალაქეთა საერთო და პროფესიული განათლების, შრომითი მოწყობისა და მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 31 ოქტომბრის № 753 დადგენილების შესრულების მდგომარეობის თაობაზე.

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ მდგომარეობის ერთგვარად გაუმჯობესების მიუხედავად, ყრუ ბავშვთა და მოქალაქეთა სწავლებისა და შრომითი მოწყობის საქმეს სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ ვერ შეასრულა ზემოაღნიშნული დადგენილებით მიცემული დავალება ყრუ და სუსტი სმენის მქონე ბავშვებისათვის სკოლამდელგანყოფილებიანი სკოლა-ინტერნატის აშენების შესახებ, რის შედეგადაც, ამ კატეგორიის 379 ბავშვი სწავლების გარეშეა დატოვებული, ამასთან, არსებული სპეციალური სკოლა-ინტერნატები მთლიანად არ არის უზრუნველყოფილი საჭირო რაოდენობის სახელმძღვანელოებით, სასწავლო და თვალსაჩინო ხელსაწყოებით.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ყრუ მოქალაქეთა სწავლება და პროფესიული მომზადება, რის შედეგადაც, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მასალების მიხედვით, 1198 ყრუ მოქალაქე წერა-კითხვის უცოდინარია.

საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებანი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომი, მშრომელთა დეპუტატების საქა-

ლაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები საჭირო ზომებს აკ-
იღებენ ყრუ მოქალაქეთა სამუშაოზე მოწყობისა და პროფესიული
კვალიფიკაციის უზრუნველსაყოფად, რის გამოც შრომითს საქმიანობაში არ არის ჩაბმული 466 კაცი, მათ შორის მუშაობის სურვილის მქონე—245.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს:

ა) 1967 წელს უზრუნველყოს ქ. თბილისის ყრუ ბავშვთა სპეციალური სკოლა-ინტერნატის გაფართოება საჭირო მიშენების ან დაშენების გზით, რისთვისაც გამოიყენოს საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის მიერ ამ დანიშნულებით გათვალისწინებული 100 ათასი მანეთი;

ბ) ქ თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონში კანდელაკის ქუჩაზე აშენებულ ბაგა ბაღის შენობაში 1967 წლის 1 სექტემბრიდან გახსნას ყრუ ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულება;

გ) ყრუ და სუსტი სმენის მქონე ბავშვები უზრუნველყოს საჭირო სახელმძღვანელოებით, სასწავლო და თვალსაჩინო ხელსაწყოებით, ამასთან მიიღოს ქმედითი ზომები ყრუ მოქალაქეთა წერა-კითხვის უცოდინარობის საღიკვიდაციოდ.

2. წინადადება მიეცეთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმს განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი ყრუ მოქალაქეთა სამუშაოზე მოწყობისა და ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისათვის. ამასთან, იზრუნონ მათი პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

3 დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს 1967 წელს ქ. თბილისის ყრუ ბავშვთა სპეციალური სკოლა-ინტერნატის გასაფართოებლად გამოყოს ლიმიტები მასალებით არაცენტრალიზებული კაპიტალშენებლობათა თანხებიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ამ დადგენილების შესასრულებლად ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. კაპიტალური მშენებლობის განაწილებამ:

ა) 1966 წლის 1 ოქტომბრამდე მოამზადოს ტექნიკური დოკუმენტაცია ქ. თბილისის ყრუ ბავშვთა სპეციალური სკოლა-ინტერ-

ნატის გაფართოების სამუშაოთა ჩასატარებლად — მიშენების ანგარიშ-
ნების გზით;

ბ) გაითვალისწინოს ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახ. რაიონში კანდელაკის ქუჩაზე ახლად აგებული ბაგა-ბაღის შეგუება ყრუ ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებისათვის და სამუშაოთა დამთავრება უზრუნველყოს 1967 წლის აგვისტოსათვის.

2. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ:

ა) საგეგმო-საფინანსო სამმართველოსთან ერთად გაითვალისწინოს 1967 წლის სექტემბრიდან სკოლამდელი ასაკის ყრუ ბავშვთა სპეციალური დაწესებულების გახსნა კანდელაკის ქუჩაზე აგებულ ბაგა-ბაღის შენობაში და ქ. თბილისის ყრუ ბავშთა სპეციალური სკოლა-ინტერნატის კონტინგენტის გადიდება.

ბ) სახელმძღვანელოების განყოფილებასთან ერთად ყრუ და სუსტი სმენის მქონე ბავშვები უზრუნველყოს საჭირო სახელმძღვანელოებით, ხოლო მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველოსთან ერთად — სასწავლო და თვალსაჩინო ხელსაწყოებით.

3. საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველომ მიიღოს ქმედითი ზომები ყრუ მოქალაქეთა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ.

4. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ დააწესოს ზედამხედველობა ამ ბრძანების შესრულებაზე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წ. 6 ივნისის ბრძანება № 608

რესპუბლიკაში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების თაობაზე საქართველოს კპ ცკ-ის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 28 აპრილის № 272 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1966 წლის 10 მაისს მიიღო დადგენილება რესპუბლიკაში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების თაობაზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 28 აპრილის № 272 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს „რესპუბლიკაში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ საქართველოს კპ ცკ-ის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 28 აპრილის № 272 დადგენილების შესასრულებლად. ეს დადგენილება განხილული იქნა საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პლენუმებზე, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების სესიებზე, აგრეთვე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ მოწვეულ რესპუბლიკურ თათბირზე.

1965—1966 სასწავლო წლის დასაწყისისთვის რესპუბლიკაში შესრულებულია ბავშვთა სწავლებაში ჩაბმის სახალხო-სამეურნეო გეგმა. სკოლებს დაუბრუნდა 1.887 განთესილი მოსწავლე. მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში სულ უფრო მეტად აბამენ არასრული რვაწლიანი განათლების მქონე ჭაბუკებსა და ქალიშვილებს. გასულ სასწავლო წელთან შედარებით ერთვვარად ამაღლდა

მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, გაუმჯობესდა რესპუბლიკის სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა; მოსწავლეთა ადგილების ექსპლოატაციაში გადაცემის 1965 წლის გეგმა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ხაზით შესრულებულია 114,9 პროცენტით.

ამასთან ერთად საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ „რესპუბლიკაში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის შესრულების მიმდინარეობის შესახებ" საქართველოს კპ ცკ-ის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების განხორციელების საქმეში არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში სასკოლო ასაკის ბავშვთა I—VIII კლასებში ჩაბმის გეგმის გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად, V—VIII კლასებში ნაცვლად 342.631 მოსწავლისა, ჩაბმულია 338.148 ანუ გეგმით გათვალისწინებულზე 4.483 მოსწავლით ნაკლები.

რიგ სკოლებს ჯერ კიდევ არა აქვთ დამყარებული მჭიდრო კავშირი მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სარაიონო და სასოფლო საბჭოებთან, ისინი ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს არ უდგენენ იმ ბავშვთა სიას, რომლებიც არ გამოცხადდნენ სკოლაში, გამოუცხადებლობის მიზეზების ჩვენებით, აგრეთვე იმ ბავშვთა სიას, რომლებიც გამოცხადდნენ სკოლაში, მაგრამ არ ყოფილან შეტანილნი აღმასკომების მიერ შედგენილ სიაში.

1965 წელს ზოგიერთმა სკოლამ სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა სიები დამოუკიდებლად შეადგინა და არ შეადარა იგი საკომლო და საბინაო დავთრების ჩანაწერებს, გარდა ამისა, რიგი სკოლების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებში ნებისმიერად არის ნაჩვენები მოსწავლეთა დაბადების წელი და თვე, 7 წლის ასაკის ბავშვთა რიცხვში ჩათვლილი იქნა 1-ლი კლასების ყველა მოსწავლე. თუმცა ამ კლასებში იმყოფებოდნენ როგორც რვა წლისა და მეტი ასაკის, ასევე შვიდ წელზე მცირე ასაკის ბავშვებიც. არც თუ იშვიათად განათლების ორგანოები და სკოლები, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან ერთად, 7 წლის ასაკის ბავშვთა აღრიცხვას აწარმოებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 15 ივნისს დამტკიცებული „სასკოლო ასაკის ბავშვებისა და მოზარდების აღრიცხვის ინსტრუქციის" დარღვევით. 1965 წლის სექტემბერში რეს-

პუბლიკის სკოლების პირველ კლასში მოვიდა 7.000 ბავშვით მეტი, ვიდრე აღრიცხული იყო.

ჯერ კიდევ დიდია იმ მოსწავლეთა რიცხვი, რომლებიც სკოლას სტოვებენ რვაწლიანი განათლების მიღებამდე. 1964—1965 სასწავლო წელს მერვე კლასი დაამთავრა 1957—1958 სასწავლო წელს პირველ კლასში ჩარიცხულ მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 70,2 პროცენტმა. 1964—1965 სასწავლო წელს, წინა სასწავლო წელთან შედარებით I—VIII კლასებიდან განთესილ მოსწავლეთა რიცხვი შემცირდა ამ კლასების მოსწავლეთა საერთო რიცხვის მხოლოდ 0,2 პროცენტით, იმ ბავშვების რაოდენობა კი, რომლებიც არსად არ სწავლობენ იგივე დარჩა (9.000-ზე მეტი).

განათლების ორგანოები და სკოლები არ იღებენ საკმარის ზომებს საქართველოს კპ ცკ-ისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 28 აპრილის დადგენილების შესასრულებლად. ასე მაგალითად, აფხაზეთის ასსრ-ში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქ. ფოთში, დმანისის, ახალქალაქის, წალკის, გეგეჭკორის, ყაზბეგის, ყვარლის, ხობის, წალენჯიხის, ონის რაიონებში 1965—1966 სასწავლო წელს, ისევე როგორც წინა სასწავლო წელს, არ შესრულებულა ბავშვების სწავლებაში ჩაბმის გეგმა V—VIII კლასებში.

შემოწმების პროცესში გამოვლინებული იქნენ 7—15 წლის ასაკის ბავშვები, რომლებიც არ სწავლობენ: აჭარის ასსრ-ში—306, აფხაზეთის ასსრ-ში 215, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში—111, მარნეულის რაიონში—175, გარდაბნის—132, კასპის—121, ახალქალაქის—91, ახმეტის—88, ბოლნისის 249, საგარეჯოს რაიონში—74.

განათლების ადგილობრივი ორგანოები, სკოლების პედაგოგიური კოლექტივები სათანადო მუშაობას არ ეწევიან მოსწავლეთა განთესვის თავიდან ასაცილებლად, მათ ვერ მიაღწიეს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამაღლებას, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას.

1964—1965 სასწავლო წლის შედეგებით, რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების I—VIII კლასების 37.000 მოსწავლეზე მეტი, ანუ ამ კლასების მოსწავლეთა მთელი კონტინგენტის 5,6 პროცენტი დატოვებულია იმავე კლასში. მარტო აფხაზეთის და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, თბილისის და გორის 12.860 მეორე წლიანიდან მომდინარე სასწავლო

წლის პირველი ნახევრის შედეგებით კვლავ ვერ ასწრებს 3.557 მოსწავლე, ანუ 27 პროცენტი.

ჯერ კიდევ დიდი გარღვევეა მოსწავლეთა კონტინგენტსა და სასწავლო ადგილებს შორის, რომელთა . რაოდენობამ მიმდინარე წელს 225 ათასს მიაღწია, ამის შედეგად, ბევრ სკოლაში კვლავ რჩება ორცვლიანი სწავლება, ხოლო ზოგან—სამცვლიანიც, სკოლების დიდი რაოდენობა, განსაკუთრებით მთიან და სასაზღვრო რაიონებში, ავარიულ მდგომარეობაშია და არსებითად ვერ უპასუხებს ელემენტარულ მოთხოვნებს.

ბევრ სასკოლო ინტერნატში არ არის შექმნილი სათანადო პირობები მოსწავლეთა ნორმალური ცხოვრებისა და სწავლისათვის, გახშირდა ბავშვების მიერ მეცადინეობის გაცდენის შემთხვევები, ხოლო ზოგიერთმა მოსწავლემ, ვინც მოშორებით ცხოვრობს, საერთოდ დაანება თავი სკოლაში სიარულს.

მიუხედავად იმისა, რომ გაიხსნა ახალი და გაფართოვდა არსებული სპეციალური სკოლა-ინტერნატების ქსელი, ჯერ კიდევ 1.000 ზე მეტი ანომალური ბავშვი სკოლის გარეთ არის დარჩენილი.

ბოლნისის, მარნეულის, კასპის, საგარეჯოს, ქობულეთის, ხულოს და ზოგიერთ სხვა რაიონებში ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა მშობლები არ უშვებენ თავიანთ ბავშვებს სკოლაში, ათხოვებენ არასრულწლოვან ქალიშვილებს. განათლების განყოფილებები და სკოლები, ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებთან ერთად, სათანადო ზომებს არ იღებენ ასეთი ფაქტების წინააღმდეგ და არ ხდიან მათ განხილვის საგნად.

საქართველოს კპ ცკ-ის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 28 აპრილის დადგენილების შესრულების საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი შედეგია იმისა, რომ განათლების ადგილობრივი ორგანოები, სკოლები არასაკმაო ორგანიზატორულ მუშაობას ეწევიან სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის სწავლებაში ჩაბმის უზრუნველყოფის, სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისა და საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელებისათვის ყველა საჭირო პირობების შესაქმნელად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილების შესრულების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. ფოთის, ახალქალაქის, ბოლნისის, გარდაბნის, გორის, დმანისის, ყაზბეგის, კასპის, მარნეულის, საგარეჯოს, წალკის, წალენჯიხის, ხობის რაიონების განათლების განყოფილებების ყურადღება მიექცეს იმას, რომ არადამაკმაყოფილებლად სრულდება საქართველოს კპ ცკ-ის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 28 აპრილის № 272 დადგენილება „რესპუბლიკაში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის შესრულების მიმდინარეობას შესახებ“, რის შედეგადაც ავტონომიურ რესპუბლიკებში, ოლქში და დასახელებულ რაიონებში აღმოფხვრილი არ არის ნაკლოვანებები V—VIII კლასებში სასკოლო ასაკის ბავშვთა სწავლებაში ჩაბმის გეგმის შესრულებისა და სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვის საქმეში, მოსწავლეთა სკოლიდან განთესვის თავიდან აცილებისათვის ბრძოლაში, რისთვისაც მოეთხოვოს მათ საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განუხრელად შესრულება.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად, აღმოფხვრან აღნიშნული ნაკლოვანებანი და ფართოდ გაშალონ მუშაობა სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით დასახული საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასასვლელად პირობების შექმნისათვის, ამ მიზნით:

ა) 1966 წლის 20 ივნისამდე ზუსტად დაადგინონ სკოლებში ჩაუბმელ და სკოლებიდან განთესილ მოსწავლეთა რაოდენობა, მიიღონ საჭირო ზომები ახალი სასწავლო წლიდან სკოლაში მათი დაბრუნებისათვის და მიაღწიონ, რომ 7—15 წლის ასაკის არცერთი ბავშვი არ დარჩეს სწავლის გარეშე;

ბ) მიიღონ საჭირო ზომები სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად; სათანადო კონტროლი დააწესონ, რათა სკოლების მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური ანგარიშები შედგენილი იქნეს სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის ზუსტად დაცვით;

გ) ჩაბმან რვაწლიანი და საშუალო განათლების არმქონე და მუშა და კოლმეურნე ახალგაზრდობა საღამოს და დაუსწრებელ სკოლებში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) აამაღლონ სკოლების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა 7—15 წლის ყველა ბავშვის და მოზარდის სწავლებაში ჩაბმასა და მოსწავლეთა კონტინგენტის მთლიანად შენარჩუნებაზე; სასწავლო წლის დასაწყისიდანვე მოსწავლეთა მიერ მეცადინეობის გაცდენის, აკადემიური ჩამორჩენილობის ყოველი ცალკეული შემთხვევა გახადონ საგანგებო მსჯელობის საგნად;

ე) მიიღონ ზომები სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის; დასახონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი მოსწავლეთა მეორეწლიანობის აღმოსაფხვრელად; გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ ლიბერალიზმთან მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში; ფართოდ დანერგონ სკოლების მუშაობის პრაქტიკაში იმ მასწავლებლებისა და პედაგოგიური კოლექტივების გამოცდილება, რომლებმაც მიაღწიეს კარგ შედეგებს მეორეწლიანობის აღმოფხვრის, მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებისა და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განუხრელად განხორციელებაში;

ვ) გადაჭრით გააუმჯობესონ ბავშვთა სწავლის, აღზრდისა და ყოფაცხოვრების ორგანიზაცია სკოლა-ინტერნატებში, გახანგრძლივებული დღის რეჟიმის სკოლებსა და ჯგუფებში. საჭირო კონტროლი დაწესონ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ფონდის სწორად გამოყენებაზე;

ზ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლების მაღალკვალიფიციურ მასწავლებელთა კადრებით დაკომპლექტების საქმეს; სკოლების დირექტორებად და დირექტორის მოადგილეებად სასწავლო მუშაობის დარგში შეარჩიონ და დაანწინაურონ მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებსაც ნამდვილად შესწევთ უნარი თანამედროვე მოთხოვნილების დონეზე წარმართონ პედაგოგიური კოლექტივების მუშაობა მაღალი აკადემიური წარმატებისათვის ბრძოლაში; სისტემატურად იზრუნონ მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებისათვის; მეტი ყურადღება დაუთმონ მასწავლებელთა თვითგანვითარებით მუშაობას, მიაღწიონ იმას, რომ იგი გახდეს კვალიფიკაციის ამაღლების ძირითადი ფორმა; სამინისტროების, კოლეგიების, სახალხო განათლებისა და სკოლების პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე სისტემატურად განიხილონ მასწავლებელთა თვითგანვითარების, მასწავლებლებთან მეთოდური მუშაობისა და ამ საქმეში დახმარების გაწევის საკითხები;

თ) შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი მასწავლებელთა შორის კულტურულ-მასობრივი მუშაობის გასაუმჯობესებლად, წარმართონ იგი სკოლის ამოცანებთან მჭიდრო კავშირში; მასწავლებელთა შორის სისტემატურად ჩაატარონ ლექციები, მოხსენებები, საუბრები სწავლა-აღზრდის აქტუალურ საკითხებზე, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებზე;

ი) სოფლის სკოლების ადგილობრივი კადრებით უზრუნველყოფის მიზნით აქტიური მონაწილეობა მიიღონ პედაგოგიური ინსტიტუტების სათანადო მონაცემების მქონე ახალგაზრდებით დაკომპლექტებაში;

კ) გააძლიერონ მუშაობა მოსწავლეთა მშობლებთან, გაზარდონ მათი პასუხისმგებლობა ბავშვთა სწავლებისა და აღზრდის საქმეში;

ლ) სისტემატურად და გულდასმით შეამოწმონ საყოველთაოსავალდებულო სწავლების განხორციელების მიმდინარეობა და პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისა და ფართო საზოგადოებრიობის აქტიური დახმარებით დროულად მიიღონ ქმედითი ზომები არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

მ) ოცი დღის ვადაში ჩაატარონ არადანიშნულებისაებრ გამოყენებული სასკოლო შენობებისა და ოთახების აღრიცხვა და მასალები წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს; ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებით მიიღონ ზომები, რომ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად, 1966—1967 სასწავლო წლის დაწყებამდე, გარეშე ორგანიზაციებისა და კერძო პირების მიერ გამოყენებული ყველა სასკოლო შენობა და ოთახი განთავისუფლებული იქნეს და აუცილებლად დაუბრუნდეს სკოლებს;

ნ) სკოლების სამმართველომ (ამბ. დ. ჯავახია) სისტემატურად შეამოწმოს ცალკეულ რაიონებსა და ქალაქებში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დაყენების. საყოველთაო სწავლების კანონის სრული განხორციელების მდგომარეობა, ამაღლოს განათლების ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებლობა ამ საქმეში, შედეგები, საჭირო ღონისძიებათა გასატარებლად, წარმოადგინოს კოლეგიაზე განსახილველად; პერიოდულად მოამზადოს კოლეგიაზე ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრების, ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეების ანგარიშები საყო-

ველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების [illegible] ბაზე.

4. სკოლების (დ. ჯავახია), სკოლა ინტერნატებისა (ვ. ჩინჩალაძე) და საღამოს და დაუსწრებელი სკოლების (რ. კანდელაკი) სამმართველოებმა სისტემატური კონტროლი და დახმარება გაუწიონ სახალხო განათლების საქალაქო და რაიონულ განყოფილებებს, სკოლების და სკოლა-ინტერნატების პედაგოგიურ კოლექტივებს მეორეწლიანობის, მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობის, მოსწავლეთა განთესვის აღმოფხვრისა და მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

5. ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა (გ. ფოფხაძე) და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (თ. ჯ**ა**ბ**ა**შვილი) მეტი ყურადღება დაუთმონ სკოლებთან და განათლების **ა**დგილობრივ ორგანოებთან კავშირის განმტკიცებას, გააძლიერონ მეთოდური მუშაობა მასწავლებლებსა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა შორის, მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა-გავრცელებისათვის; ფართოდ განაზოგადონ და დანერგონ იმ სკოლებისა და მასწავლებლების გამოცდილება, რომლებმაც მიაღწიეს მნიშვნელოვან წარმატებებს სასწავლო-ადმზრდელობით მუშაობაში და საყოველთაო სწავლების კანონის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

6. კადრების განყოფილებამ (ი. კვაჭაძე) გააძლიროს მომთხოვნელობა განათლების ადგილობრივი ორგანოებისადმი მასწავლებელთა კადრების შერჩევის, გამოყენებისა და აღზრდის საქმეში; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელთა, სკოლების დირექტორებისა და სასწავლო მუშაობის დარგში მათი მოადგილეების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს, რათა ამ თანამდებობებზე დაწინაურებულნი იქნან სათანადო განათლებისა და გამოცდილების მქონე მუშაკები, რომლებიც მაღალი ავტორიტეტით სარგებლობენ მასწავლებელთა შორის და რომლებსაც ნამდვილად შესწევთ უნარი თანამედროვე მოთხოვნილების დონეზე წარმართონ პედაგოგიური კოლექტივების მუშაობა.

7. სკოლების სამმართველომ (დ. ჯავახია) კადრებისა (ი. კვაჭაძე) და მეთოდურმა (ვ. ცაავა) განყოფილებებმა, მასწავლებელთა დახელოვნებისა და ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეც-

ნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მონაწილეობით, ორი კვირის ვადაში შეიმუშაონ ღონისძიებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წარსადგენად სკოლების მასწავლებელთა შემადგენლობის პროფესიული და ზოგად-კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის.

8. სკოლა-ინტერნატების სამმართველომ (ვ. ჩინჩალაძე), ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სათანადო სამმართველოსთან ერთად, 15 ივლისამდე ჩაატაროს გონებრივი და ფიზიკური განვითარების ნაკლთა მქონე ბავშვების დეტალური შესწავლა და სრული სამედიცინო ხელახალი შემოწმება ყველა ანომალური ბავშვის გამოვლინებისა, მათი მკურნალობისა და სწავლების ფორმაში ჩაბმის მიზნით.

9. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (შ. ბუთიკაშვილი):

ა) სისტემატური კონტროლი დააწესოს სასკოლო ობიექტების მშენებლობაზე, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სასკოლო შენობების აგება და ექსპლოატაციაში მათი გადაცემა დადგენილ ვადებში;

ბ) საგეგმო-საფინანსო სამმართველოსთან ერთად ხუთი დღის ვადაში შეიმუშაოს წინადადებები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წარსადგენად, დაწყებული 1967 წლიდან, სკოლების, სპეციალური სკოლა-ინტერნატების და სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობაზე; განსაკუთრებით რესპუბლიკის მთიან რაიონებში, კაპიტალურ დაბანდებათა გადიდების შესახებ.

10. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ა. კვაჭაძე):

ა) სათანადო სამმართველოებსა და განყოფილებებთან ერთად, ათი დღის ვადაში შეიმუშაოს წინადადებები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წარსადგენად პირველ რიგში რესპუბლიკის მთიან და სასაზღვრო რაიონებში სასკოლო ინტერნატების ქსელის გაფართოების, ამ ინტერნატებში ბავშვთა კვებაზე ასიგნობათა გადიდებისა და სასწავლო და სპორტული ინვენტარის, სასკოლო კაბინეტებისა და ლაბორატორიების მოწყობილობათა შესაძენად დამატებითი დაფინანსების შესახებ;

ბ) პერიოდულად შეამოწმოს ადგილებზე სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა პირველადი აღრიცხვის სისწორე, ამასთან სათანადო ყურადღება დაუთმოს მოსწავლეთა ასაკობრივ მაჩვენებლებს; შედეგები, საჭიროების შემთხვევაში, წარმოადგინოს კოლეგიაზე განსახილველად;

11. გაზეთ „სახალხო განათლების“ (ნ. შველიძე) და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ (გ. საჯაია) რედაქციებმა სისტემატურად გააშუქონ გაზეთის და ჟურნალის ფურცლებზე მოწინავე მასწავლებლებისა და სკოლების გამოცდილება, რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების მდგომარეობა.

12. სკოლების საზმართველომ (დ. ჯავახია) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი
1966 წელი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

§ 1

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი შეიქმნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 28 აპრილის № 265 დადგენილების „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის მდგომარეობის და მისი გაუმჯობესების ზომების შესახებ“ საფუძველზე. კაბინეტი წარმოადგენს მოსწავლეთა მხატვრულ-ესთეტიკური აღზრდის მეთოდური ხელმძღვანელობის ცენტრს. ამ დარგში მეთოდური მუშაობის გარდა, იგი პრაქტიკულ დახმარებას უწევს სკოლებს, სკოლამდელ დაწესებულებებს, სკოლა-ინტერნატებს, საბავშვო სახლებსა და სკოლის გარეშე დაწესებულებებს ესთეტიკური აღზრდის საქმის სწორ ნიადაგზე დაყენებისა და წარმართვის საქმეში. ხელმძღვანელობს მუსიკალური ჯგუფების მუშაობას.

§ 2.

ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის ამოცანაა: ა) სკოლამდელთა აღზრდის დაწესებულებებში, დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებში, სკოლისგარეშე დაწესებულებებში მხატვრულ-ესთეტიკური კულტურის დანერგვა და ხელოვნების ციკლის საგნების სწავლების მეთოდების გაუმჯობესება-ამაღლება.

ბ) მხატვრულ-ესთეტიკური აღზრდის დარგში სასწავლო მეთოდური და პედაგოგიური ლიტერატურის, პროგრამების, მეთოდური მითითებების და სხვა სახის დოკუმენტაციისა და მასალების შედგენა დამუშავება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) მხატვრული განხრის (სახვითი ხელოვნების, მუსიკის, ქორეოგრაფიის სწავლებით) სკოლების, სასწავლებლების და სკოლა-ინტერნატების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებული მუსიკალური ჯგუფებისა და განყოფილებებისათვის, საექსპერიმენტო კლასებისათვის, სკოლისგარეშე დაწესებულებების მხატვრული აღზრდის განყოფილებებისათვის სათანადო პროგრამულ-მეთოდური სახელმძღვანელო მასალების შედგენა-დამუშავება;

დ) ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებთან არსებული ესთეტიკური აღზრდის სექციებისადმი ხელმძღვანელობის გაწევა;

ე) სათანადო ლონისძიებების განხორციელება მხატვრული თვითმოქმედების ოლიმპიადების, სახვითი ხელოვნების გამოფენების, კონკურსების და სხვა მოწყობა-ჩატარების საქმეში;

ვ) მხატვრულ-ესთეტიკური აღზრდის დისციპლინების მასწავლებელთა ახალ კადრებზე მოთხოვნების დამუშავება და მონაწილეობის მიღება მათ მიზანშეწონილად განაწილებაში;

ზ) საუკეთესო ფენდაციო მითითებების შედგენა ესთეტიკური აღზრდის ძირითად დარგებში კლასგარეშე და სკოლის გარეშე საწრთო მუშაობის შინაარსის, ფორმებისა და მეთოდების შესახებ;

თ) სკოლაში ესთეტიკური აღზრდისათვის აუცილებელ ავეჯზე, მოწყობილობაზე, ხელსაწყოებსა და მასალებზე განაცხადების შედგენა-დაზუსტება და თვალყურის დევნება ამ საშუალებებით სკოლების უზრუნველყოფაში;

ი) კლასგარეშე, სკოლისგარეშე საწრეო-ჯგუფური და გუნდური მუშაობისათვის აუცილებელი საორიენტაციო დოკუმენტაციის შედგენა-განხილვა—დამტკიცდა და ამ დოკუმენტებით სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების უზრუნველყოფა;

კ) საბავშვო სიმღერების, პიესების, ლექსების კრებულების, სახელმძღვანელოების მომზადება სწავლების ცალკეული საფეხურების მიხედვით და მუშაობა მეთოდური ლიტერატურის შექმნაზე ესთეტიკური აღზრდის ცალკეულ დარგებში;

ლ) ქალაქების და რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკო-

ლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაობის შესწავლა და განხილვა კაბინეტის საბჭოს სხდომებზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ) მჭიდრო კავშირის დამყარება მოძმე რესპუბლიკების შესაბამის დაწესებულებებთან, გამოცდილების გაზიარების მიზნით;

ნ) მეთოდური ხასიათის თეორიული კონფერენციების, სესიების, თათბირების ჩატარება ესთეტიკური აღზრდის აქტუალურ საკითხებზე;

ო) მხატვრული აღზრდის დარგში სადირექტივო წერილების პროექტების შ დგენა და მათი წარდგენა დასამტკიცებლად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსათვის;

პ) თვალყურის დევნება სკოლების შეფობების, კარმიდამოების გემოვნებით გაფორმებაზე.

§ 3

მხატვრული აღზრდის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის სტრუქტურა და შტატი

1. ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის შტატს ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო და იგი შედგება დირექტორის, დირექტორის მოადგილის, მეთოდისტებისა და ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალისაგან.

2. კაბინეტი აყალიბებს სექტორებს, რომელთა სახეობებს განსაზღვრავს განათლების სამინისტრო. კაბინეტის დირექციისა და მეთოდისტების შემადგენლობით იქმნება მცირე საბჭო, რომელიც თავის სხდომებს მართავს ორ კვირაში ერთხელ.

3. კაბინეტთან არსებობს საბჭო, რომლის შემადგენლობასაც ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია.

საბჭო აყალიბებს სექციებს, რომელთა რაოდენობასა და სახეობებს განსაზღვრავს საჭიროების მიხედვით.

საბჭო თავის სხდომებს მართავს წელიწადში 2—3-ჯერ, ხოლო სექციები კვარტალში 2—3-ჯერ.

4. კაბინეტი მუშაობს სამინისტროს მიერ დამტკიცებული გეგმის საფუძველზე.

§ 4

სახსრები და იურიდიული უფლებანი

1. კაბინეტი იმყოფება რესპუბლიკურ ბიუჯეტზე და სახსრების დახარჯვას აწარმოებს დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში.

2. კაბინეტს აქვს საკუთარი ბეჭედი და შტამპი და სარგებლობს იურიდიული პირის ყველა უფლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წ. 18 ივნისის ბრძანება № 680

კასპის საშუალო და ყვარლის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

კასპის საშუალო და ყვარლის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატების მუშაობის შემოწმებით დადასტურდა, რომ ამ სკოლა-ინტერნატებს სასწავლო-სააღმზრდელო და საფინანსო-სამეურნეო დარგში მოპოვებული აქვთ მნიშვნელოვანი მიღწევები: ეზო-კარმიდამო, შენობა-ნაგებობანი და გარე კომუნიკაციები წესრიგშია, აღსაზრდელებს აქვთ—კეთილმოწყობილი საძინებლები, საკლასო ოთახები, კაბინეტ-ლაბორატორიები, სპორტული მოედნები, გართობის ადგილები, სათამაშოები და სხვა. დაბაკმაყოფილებელია ბავშვთა კვების ორგან ზაცია და ჩაცმა-დახურვა; ჯეროვანი ყურადღება ექცევა აღსაზრდელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს; კარგია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, მიმდინარე სასწავლო წლის—მესამე მეოთხედში მოსწრება კასპის საშუალო სკოლა-ინტერნატში 96,3% უდრის, ხოლო ყვარლის რვაწლიან სკოლა-ინტერნატში 93%-ს.

კასპისა და ყვარლის სკოლა-ინტერნატებში მასწავლებელთა დიდი ნაწილი მონდომებით მუშაობს, გულდასმით ემზადება ყოველი გაკვეთილისათვის, ფართოდ იყენებს თვალსაჩინოებას და აძლევს მოსწავლეებს დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევებს. კარგად მუშაობენ აგრეთვე ამ სკოლა-ინტერნატების უფროსი აღმზრდელები და აღმზრდელები.

კასპისა და ყვარლის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეები მომზადებული არიან სახელმძღვანელოებით და სასწავლო ნივთებით. კაბინეტ-ლაბორატორიების შესაფერად დახარჯულია ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები. ყურადღება ეცემა საწრო მუშაობას, მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდასა და ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას. კარგად მუშაობს ყვარლის სკოლა-ინტერნატის უფ. პ/ხელმძღვანელი ნ. ავაზაშვილი.

აღნიშნულ მიღწევებთან ერთად დასახელებულ სკოლა-ინტერნატების მუშაობაში ადგილი აქვს დარღვევებსა და ნაკლოვანებებს: **კასპის ხაშუალო** სკოლა-ინტერნატში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული **რუსული ენის** სწავლება (მასწავლებლები: ნ. ილურიძე და ვ. პაპიაშვილი). ამ საგნის მასწავლებლები ნაკლებად იცნობენ მეთოდიურ ლიტერატურას, მითითებებსა და პროგრამებს, მათი გაკვეთილები მეთოდურად გაუმართავია, ნაკლებად აწარმოებენ სალექსიკონო მუშაობას, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ საშინაო წერის რეიულების შემოწმება-გასწორებას და სწორი მეტყველების ჩვევების გამომუშავებას; **ფიზიკაში** (მასწავლებელი დ. თეთვაძე) არ ხდება ახალი მასალის განმტკიცება მოწვალეთათვის დამოუკიდებელი სამუშაოს მიცემით, გაკვეთილებზე ნაკლებად წარმოებს ამოცანებზე ვარჯიში, დიდია საშინაო წერითი დავალებებს შორის ინტერვალი, ცოტაა ჩატარებული ლაბორატორიული სამუშაოები, არ არის საკმარისი მოსწავლეთა მიერ დამზადებული თვითნაკეთი ხელსაწყოები, ექსკურსიაზე მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ მოსწავლეებს არავითარი ჩანაწერები არ გააჩნიათ; **მათემატიკაში** (მასწავლებლები ი. პაპკაძე და დ. ხვედელიძე) IX კლასში მოსწავლეებს არ აქვთ განვითარებული გამოთვლითი უნარ-ჩვევები, არ ექცევა ყურადღება ზეპირ გამოანგარიშებათა წესების დაფიქრებას, ხოლო X კლასში—ფუნქციათა სწავლების გაღრმავებას; VI კლასის მოსწავლეთა ნაწილი საჭირო სიმტკიცით არ არის დაუფლებული ალგებრული გამოსახულების რიცხვითი მნიშვნელობის გამოთვლას. V კლასის მოსწავლეები ვერ ახერხებენ მოიმარჯვონ მოქმედებათა შესრულების რაციონალური ხერხები; ადგილი არ ეთმობა გაკვეთილზე მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას; V—XI კლასებში საკონტროლო წერის გასწორებისას შეინიშნება მეთოდურ მოთხოვნათა დარღვევა და სხვ. **შრომითი და ხაზვის სწავლების** საქმე არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული (სასწავლო ნაწილის გამგე—ნ. მაღალაძე, მასწავლებლები: მ. ბოჭორიძე, გ. ბაკიძე და დ. თეთრაძე), ამ საგნის მასწავლებლები არ არიან გაერთიანებულნი მეთოდურ კომისიაში, არ აქვთ თემატური გეგმები, მასწავლებლებს არ აქვთ გამოყენებული თვალსაჩინობა (ნახაზები, სქემები და სხვ) და წინასწარ არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის, ხაზვის სწავლება მიმდინარეობს საკლასო ოთახებში, ჩვეულებრივ სასწავლო მერხზე, საპროგრამო მასალა არ არის გაფილი სრულად. არ არის ჩამოყალიბებული ტექნიკური წრეები; შრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მითი სწავლებისათვის (ხეზე და ლითონზე) გამოყოფილია ბნელი და ნესტიანი ოთახები სასარდაფო სართულში.

ყვარლის სკოლა ინტერნატის მასწავლებელთა ერთი ნაწილი ხელაღებით უწერს მოსწავლეებს მეოთხედურ ნიშნებს, მაგ. **რუსული ენის** მასწავლებელ ბ. ჩაჩიკაშვილს I—II მეოთხედში არ გამოუკითხავს მასალა მოსწავლე გ. მირიანაშვილისა და ს. ჩიხიაშვილისათვის, ხოლო მეოთხედის ბოლოს ეს მოსწავლეები შეფასებული არიან „3“ ზე **მ. ლ.-ძე** არ არის გამოძახებული II მეოთხედში, შეფასებულია „4“ ზე. **რ. ლ. ლი** ნაკითხია 30 სექტემბერს, ხოლო **გ. მ.** 27 ოქტომბერს და მათ მიღებული აქვთ ნიშანი „2“, მეოთხედის ბოლოს კი შეფასებულნი არიან ნიშან „3“ ზე.

გეოგრაფიის მასწავლებელს მ. სიყმაშვილს მოსწავლე რ.-ლ-ლი გამოძახებული ჰყავს 10 სექტემბერს—ნიშანი „2“, მეოთხედის ბოლოს მოსწავლეს შეუმოწმებლია დაწერილი აქვს „3“. ასეთი შემთხვევები სხვა კლასებშიაც ბევრია. ზოგიერთი მასწავლებელი ყურადღებას არ აქცევს მოსწავლეთა საკლასო საშინაო რვეულების გასწორების საქმ ს.

დაბალ დონეზე ისწავლება VI—VII და VIII კლასებში **ფიზიკა** (მასწავლებელი ნ. ჩიტრეკაშვილი); დიდი დრო-ეთმობა მიცემული დავალების გამოკითხვას, ახალი მასალა აიხსნა 10 წუთში; ზოგჯერ მასწავლებელი არ იყენებს თვალსაჩინოებას, მოსწავლეთა უმრავლესობას ვერ აბამს მუშაობაში, ხშირად ერევა მოსწავლის პასუხებში. მასწავლებელ ნ. ჩიტრეკაშვილს ესაჭიროება პედაგოგიური დახელოვნება, ის ნაკლებ ყურადღებას აქცევს საკონტროლო წერის ნორმების შესრულებას და წერითი ნამუშევრების გასწორებას.

მათემატიკის მასწავლებელი ე. ხოსროშვილი ნაკლებ ყურადღებას აქცევს მოსწავლეებში დამოუკიდებელი მუშაობის დანერგვას. ადგილი აქვს საპროგრამო მასალის გავლაში ჩამორჩენას. VIII კლასში ალგებრის საკონტროლო წერის დროს მასწავლებელი შეეცადა მოსწავლეებისათვის მიეწოდებინა წინასწარ გამოყვანილი მასალა; ამ კლასში 25 მოსწავლედან 10 მოსწავლის ნამუშევარი შეფასებული იქნა ნიშან „2“-ზე.

ქიმია-ბიოლოგიის მასწ. ს. სიფრაშვილი თანმიმდევრობით არ იმეორებს გავლილ საპროგრამო მასალას, ნაკლებ ყურადღებას აქცევს ქიმიაში ამოცანების ამოხსნაზე ვარჯიშს, საპროგრამო მასალის გავლაში ჩამორჩენას აქვს ადგილი 8—10 საათით. ქიმია ბიო-

ლოგიის კაბინეტი არაა უზრუნველყოფილი ხელსაწყო-იარაღებით.

II—IV და V—VIII კლასების **რუსული ენის** მასწავლებლები ფრანგული ენის დენთომშვილი და ბ. ჩაჩიკაშვილი მეტყველების დროს უშვებენ ენობრივი ხასიათის შეცდომებს. მასწავლებელი ბ. ჩაჩიკაშვილი ვერ აბამს მუშაობაში მთელ კლასს, სწავლების დროს ნაკლებად იყენებს თვალსაჩინოებას, მის მიერ შერჩეული საწერი თემები ერთფეროვანია; VI კლასში საკონტროლო წერის დროს 24 მოსწავლედან ნიშანი „2" მიიღო 7 მოსწავლემ.

V—VIII კლასებში **გეოგრაფიის** მასწავლებელი მ. სიმაშვილი ნაკლებ ყურადღებას აქცევს გავლილი საპროგრამო მასალის გამეორებას, ხშირად ერევა მოსწავლის პასუხში, დიდ დროს უთმობს მიცემული დავალების შემოწმებას. მოსწავლე **ქ. ლ.** (VI² კლასი) ,,ენის" სიკოკუს მაგიერ რუკაზე უჩვენა კიუსიუსი, ეს შეცდომა მასწავლებელს შეუნიშნავი დარჩა. არ არის სრულყოფილად მოწყობილი გეოგრაფიის მოედანი, მასალის გავლის დროს ყურადღება არ ექცევა ექსკურსიების ბოწყობას; არც ერთ კლასში არ არის ჩატარებული მეცადინეობა კონტურულ რუკებზე. ნაკლები ყურადღება ექცევა რუკების ნოვლასა და სხვ.

სკოლა-ინტერნატში შესრულებული არ არის კონტინგენტის გეგმა, დაბალ დონეზე დგას მზრუნველთა საბჭოსა და საშეფო ორგანიზაციების მუშაობა, ადგილი აქვს მოსწავლეების მიერ გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევებს, ინტერნატს სამეურნეო წყალი აკლია, სასადილოს შენობა ვერ იტევს ერთ ცვლაზე მოსწავლეებს.

სკოლა-ინტერნატში არ ხდება მატერიალურ ფასეულობათა ზუსტი აღრიცხვა-ანგარიშგება. ადგილი აქვს თანხების გადახარჯვისა და აუთვისებლობის შემთხვევებს. არასწორი გამოანგარიშების შედეგად მუშაკებზე ზედმეტადაა გაცემული სამოვლინებო 109 მანეთის რაოდენობით, დირექტორის თანაშემწეს სამეურნეო დარგში ზ. სეფიაშვილს ჩატარებული ინვენტარიზაციით ზედმეტად აღმოაჩნდა 196 მანეთისა და 68 კაპიკის ინვენტარი, ხოლო დააკლდა 23 მანეთისა და 20 კაპიკის; საწყობის გამგეს ს. ქანდაურაშვილს ზედმეტად აღმოაჩნდა 11 მანეთისა და 60 კაპიკის თეთრეული და დააკლდა 36 მანეთისა და 33 კაპიკის; ადგილი აქვს დებიტორულ და აღსაზრდელთა შენახვის გადასახდელის დავალიანებას; სკოლა-ინტერნატის ბუღალტერი ს. დარჩიაშვილი სათანადოდ ვერ უძღვება საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების საქმეს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაევალოს კასპის საშუალო სკოლა-ინტერნატის დირექტორს ამხ. ვ. ალექსიძეს:

ა) გააძლიეროს მეთოდური ხელმძღვანელობა და სისტემატური კონტროლი დააწესოს რუსული ენის, ფიზიკის, მათემატიკისა და ხაზვის და შრომითი სწავლების მასწავლებელთა მუშაობაზე, დასახოს პრაქტიკული ღონისძიებანი ამ საგნების სწავლებაში არსებულ დარღვევა-ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ბ) შექმნას საჭირო პირობები ხაზვისა და შრომითი სწავლებისათვის, სათანადო ადგილის გამოყოფით და ინვენტარ-მოწყობილობათა შეძენით;

გ) გააფრთხილოს მასწავლებლები: ნ. ილურიძე, ვ. პაპიაშვილი, დ. თეთვაძე თ. პარკაძე, დ. ხვედელიძე, ნ. მაღალაძე, მ. ბოჭორიძე და გ. ბაკიძე მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ საგნების სწავლებას საქმეს, იზრუნონ კვალიფიკაციის ამაღლებისა და შენიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

დ) მიიღოს ყველა ზომა ბავშვთა კომუნისტური აღზრდის ორგანიზაციების მუშაობის გასაუმჯობესებლად და გამოვლინებულ სხვა ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივ აღმოსაფხვრისათვის;

2. დაევალოს ყვარლის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის დირექტორს ამხ. ე. ლოლაშვილს:

ა) მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს დაუყოვნებლივ გადაახდევინოს სარევიზიო აქტში აღნიშნული დანაკლისები, ხოლო ზედმეტობა აიღოს შემოსავალში;

ბ) გააძლიეროს ხელმძღვანელობა და სისტემატური კონტროლი დააწესოს საბუღალტრო ანგარიშების სწორად წარმოებაზე;

გ) მიიღოს გადამჭრელი ზომები სკოლა ინტერნატში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივ აღმოსაფხვრელად;

3. ყვარლის რვაწლიან სკოლა-ინტერნატში საბუღალტრო საქმის უკეთ მოწესრიგების მიზნით ყვარლის რაიონის განათლების განყოფილებამ (ამხ. დ. ლაფაჩიშვილი) სკოლა-ინტერნატის ბუღალტერი ს. და-ჩიაშვილი გაათავისუფლოს ამ თანამდებობიდან და გამოიყენოს სხვა შესაფერ სამუშაოზე, ხოლო მის ადგილზე შეარჩიოს სათანადო კვალიფიკაციის მქონე მუშაკი.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1966 წლის 17 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშჭარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წლის 22 ივნისის ბრძანება № 685

რესპუბლიკის ზოგიერთ სკოლამდელ დაწესებულებაში ბავშვების მიღებისა და მათი სახლში გასტუმრების ორგანიზაციის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ რესპუბლიკის უმრავლესსკოლამდელ დაწესებულებაში მოწესრიგებულია ბავშვების საბავშვო ბაღში დილით მიღებისა და მათი სახლში გასტუმრების საკმე. მიუხედავად ამისა, ამ მხრივ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. ზოგიერთ საბავშვო ბაღში არაა მოწესრიგებული თანამშრომელთა სამუშაოზე დროულად გამოცხადება. ნაცვლად იმისა, რომ საბავშო ბაღის აღმზრდელი საბავშვო ბაღში ბავშვების მისვლამდე ცხადდებოდეს, პირიქით აგვიანებს, მშობლებს ადგილზე არ ხვდება, რის გამოც, ეს უკანასკნელნი იძულებულნი არიან ბავშვები უმეთვალყურედ დატოვონ (ქ. თბილისის № 67, 69, 74, 90 საბავშვო ბაღებისა და № 4 ბაგა-ბაღის აღმზრდელები: ნ. ციკნაველიძე, მ. მჭედლიშვილი, ა. ჭელიძე კ. არუთინოვა, ც. გარიშვილი, ნ. გეგეშიძე, ტ. მჭედლიშვილი, ა. ბერეენაძე, ს. ოერუაშვილი, ლ. ჩიქობავა, დ. სარქისოვა, ე. კრიხელი. მ. კოთაღუა).

დილით ბავშვთა მიღების დროს საექთნო პერსონალის მიერ სათანადო ყურადღება არ ექცევა ბავშვების პირადი ჰიგიენის შემოწმებასა და თერმომეტრიზაციის ჩატარების საკმეს, რაც ერთგვარ საშიშროებას ქმნის ინფექციური დაავადების გავრცელებისათვის. (ქ. თბილისის № 13, № 16, № 68, № 71, № 81 საბავშვო ბაღები და მე-4 ბაგა-ბაღი), სუსტად მუშაობს № 18 ბაგა-ბაღის ექთანი.

მიუხედავად იმისა, რომ განათლების სამინისტროს მიერ დაშვებული იქნა ნითითება იმის შესახებ, რომ შაბათ დღეს სკოლამ-

დელ დაწესებულებებში მუშაობა წარმოებს ჩვეულებრივ, 5 საათსა და 30 წუთამდე, ზოგიერთ საბავშვო ბაღში ადგილი აქვს საღამოობრივ 3—4 საათზე დამთვრებას, რაც იწვევს ამ დღის კვების რეჟიმის დარღვევას და სასწავლო ღონისძიებათა ჩაშლას. (ქ. თბილისის № 49 საბავშვო ბაღი, № 17 ბაგა-ბაღი, ახმეტისა და გურჯაანის რაიონის საბავშვო ბაღები და სხვა.) ქ. თბილისის ლენინის რაიონი მე-17 ბაგა-ბაღში შემოწმების დღეს, შაბათს, სამხრისათვის საჭირო პროდუქტი ფაქტიურად გაწერილი იყო 104 ბავშვზე, სამხარი კი გაიცა 27-ზე.

მეორე ცვლის აღმზრდელების მიერ ნაკლები ყურადღება ექცევა ბავშვების სახლში გასტუმრების საკმეს. ზოგიერთი საბავშვო ბაღის გამგე დილით ბავშვების მიღებისა და სახლში გასტუმრების დროს მშობლებს არ ხვდება ადგილზე.

ქ. თბილისის № 32, 39, 52 საბავშვო ბაღებში (გამგეები: მ. ელიავა, ნ. იოსებაშვილი, ქ. ჩოდრიშვილი) არ არის მოწყობილი მშობელთა კუთხეები, სადაც მშობლებს საშუალება ეძნებათ გაიცნონ მათთვის საინტერესო საკითხები.

არის შემთხვევები, როდესაც საღამზრდელო ჯგუფებს ან სხვა სათავსოს დილით ალაგებენ, ბავშვების მისვლის შემდეგ და არ ანიავებენ ჰაერს. (ქ. თბილისის № 37, 90, 94 საბავშვო ბაღები და № 4 ბაგა-ბაღი, გამგეები: ქ. ქოქრაშვილი, ზ. ცანავა, ე. კორშია, მ. ხელაშვილი).

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

. . სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა:

ა) გადაჭრით გააუმჯობესონ დილით ბავშვების მიღებისა და მათი სახლში გასტუმრების საქმე და ამისათვის პედპერსონალის სამუშაოზე გამოცხადების გრაფიკი შეადგინონ იმდაგვარად, რომ ბავშვების ბაღში (ბაგა-ბაღი) მოსვლისა და მათი სახლში გასტუმრების დროს პედაგოგი იყოს ადგილზე.

ბ) მტკიცედ დაიცვან სბავშვო ბაღის შრომითი შინაგანაწესი და განამტკიცონ შრომის დისციპლინა, მკაცრი ზომები მიიღონ იმ პირთა მიმართ, რომლებიც დაგვიანებით ცხადდებიან სამუშაოზე.

გ) კონტროლი დაწესონ სამედიცინო პერსონალის მუშაობაზე, რათა სისტემატურად ტარდებოდეს ბავშვების, შენობის სანიტარული შემოწმება და დერმომეტრიზაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) დაწესდეს, რომ შაბათობით, სკოლამდელ დაწესებულებებში მუშაობა ძირითადად მიმდინარეობდეს ჩვეულებრივად, 5 საათსა 30 წუთამდე, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში, როდესაც მშობლები თავიანთი სურვილით ბავშვებს გაიყვანენ ადრე, არ დაუშვან ამ ბავშვების სახლში გასტუმრება სამხარის უღუფის მიუღებლად, ამ დღის კვების რეჟიმი შედგეს საბავშვო ბაღის (ბაგა-ბაღის) პირობების შესაბამისად.

2. რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებათა გამგეებმა არ დაუშვან სკოლამდელ დაწესებულებათა გამგეების გამოძახება. ბავშვების მიღების დამთავრებამდე (დილით 9 1/2 საათამდე).

ეს ბრძანება განიხილონ რაიონის (ქალაქის) სკოლამდელ მუშაკთა თათბირზე და დასახონ საჭირო ღონისძიებები აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

პერიოდულად შეისწავლონ ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობა და მიიღონ საჭირო ზომები ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

3. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ნარკვევი მასალები კვების ბლოკში დარღვევების შესახებ ზომების მისაღებად გადაეგზავნა ქ. თბილისის ლენინის რაიონის, ახმეტისა და გურჯაანის რაიონების განათლების განყოფილებებს.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1966 წლის 17 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წ. 20 ივნისის ბრძანება № 697

XVII რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის შედეგებისა და XVIII კონფერენციისათვის მზადების შესახებ

აღვნიშნავ, რომ XVII სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენცია მიმდინარე წელს მაღალ დონეზე და ორგანიზებულად ჩატარდა. კონფერენციის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს თბილისის, ქუთაისის, აჭარის ასსრ-ის, აგრეთვე თელავის, ჩესტაფონის, სამტრედიის, ზუგდიდის, მახარაძის, ცაგერის, სიღნაღის, მაიაკოვსკის, გურჯაანისა და სხვა ქალაქებისა და რაიონების სკოლებმა.

ჩამოთვლილი ქალაქებისა და რაიონების მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილი მოხსენებების უმრავლესობა მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის აქტუალურ პრობლემებს შეეხებოდა და წარმოადგენდა პრაქტიკულ მუშაობაში მოპოვებული მიღწევების თეორიულ განზოგადებას.

მიუხედავად აღნიშნულისა, კონფერენციის მუშაობაში ადგილი ჰქონდა სერიოზულ ნაკლოვანებებს.

კონფერენციისათვის მზადება ყველა რაიონსა და ქალაქში ერთნაირი პასუხისმგებლობითა და მონდომებით არ მიმდინარეობდა. მასში მონაწილე 49 რაიონიდან და ქალაქიდან—22 მხოლოდ 2 ან 4 მოხსენებით იყო წარმოდგენილი, ხოლო აბაშის, ახალციხის, ბოლნისისა და თერჯოლის რაიონებმა თითო-თითო მოხსენება გამოგზავნეს. სრულიად არ მიუღიათ მონაწილეობა ახალქალაქის, ბოგდანოვკის, დმანისის, ლაგოდეხის, ლენტეხის, მესტიის, ორჯონიკიძის, ქარელის, ყაზბეგის, წალენჯიხისა და წალკის რაიონებს.

ორჯონიკიძისა და ცხაკაიას რაიონებში ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში „პედაგოგიური კითხვა“ არ ჩატარებულა, მაშინ, როდესაც წინა კონფერენციის მუშაობაში სუსტი მონაწილეო-

ბისათვის ამ რაიონების განათლების განყოფილებები საგანგებოდ იყვნენ გაფრთხილებული.

სექციურ მუშაობაში ძალზე სუსტ მონაწილეობას ღებულობდნენ ქ. თბილისის სკოლების მასწავლებლები, დირექტორები და მათი მოადგილეები, განათლების განყოფილებათა მუშაკები.

აღსანიშნავია ისიც, რომ მოხსენებების ერთი ნაწილი რიგი რაიონების მიერ კვლავინდებურად დაგვიანებით და სათანადო გაფორმების გარეშე იყო წარმოდგენილი.

ადგილობრივი რაიონული და საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკური პედაგოგიური კითხვისა და XVIII რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის სათანადოდ მომზადებისა და ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებმა, საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების ადგილობრივ ორგანოებთან ერთად, ამთავითვე გაშალონ ფართო მუშაობა „პედაგოგიურ კითხვაში" მასწავლებელთა მასობრივი ჩაბმისათვის;

1967 და 1968 წლების იანვრის „პედაგოგიური კითხვებისა" და 1968 წლის XVIII რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციისათვის მზადების პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მოწინავე სკოლებისა და მასწავლებელთა შემოქმედებით ინიციატივასა და თაოსნობას, მათი გამოცდილების განზოგადებას, სწავლებისა და აღზრდის აქტუალური საკითხების სათანადო მეცნიერული სიღრმით დამუშავებას.

2. ახალქალაქის, ბოგდანოვკის, დმანისის, ლაგოდეხის, ლენტეხის, მესტიის, ორჯონიკიძის, ქარელის, ყაზბეგის, წალენჯიხის, წალკის, აგრეთვე აბაშის, ახალციხის, ბოლნისისა და თერჯოლის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა ათი დღის ვადაში წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს ახსნა-განმარტება „პედაგოგიურ კითხვასა" და რესპუბლიკური კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მიუღებლობის თუ სუსტი მონაწილეობის მიზეზების შესახებ.

3. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების სამინისტროს წინაშე, რათა თბილი-

სის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტე-
ბის მეცნიერ მუშაკები უფრო აქტიურად და მეტი რაოდენობით
ღებულობდნენ მონაწილეობას „პედაგოგიურ კითხვასა“ და სამეც-
ნიერო-პედაგოგიური კონფერენციების მუშაობაში.

4. პედაგოგიკის მეცნიერებათა და მასწავლებელთა დახელოვ-
ნების ინსტიტუტებმა, საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგა-
დოების პრეზიდიუმთან ერთად, სისტემატური და ქმედითი დახმა-
რება გაუწიონ განათლების ადგილობრივ ორგანოებს „პედაგოგიუ-
რი კითხვისათვის“ მოხსენებების მომზადებაში, რაიონულ და საქა-
ლაქო „პედაგოგიურ კითხვას“ დაასწრონ თავიანთი წარმომადგენ-
ლები.

პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტებმა:

ა) საგნობრივ კრებულებში დაბეჭდოს კონფერენციაზე მოწო-
ნებული და რეცენზენტების მიერ რეკომენდებული მოხსენებები;

ბ) პედაგოგიური საზოგადოების პრეზიდიუმთან ერთად, სკო-
ლისა და პედაგოგიური მეცნიერების წინაშე მდგომი ახალი ამო-
ცანების შესაბამისად გადაამუშაოს „პედაგოგიური კითხვის“ საო-
რიენტაციო თემატიკა, იზრუნოს მისი მეტი ტირაჟით დაბეჭდვისა-
თვის და მიმდინარე წლის 15 ოქტომბრამდე დაუგზავნოს განათ-
ლების ადგილობრივ ორგანოებს.

6. განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების განყოფი-
ლებამ მიიღოს ზომები მასწავლებელთა საუკეთესო მოხსენებების
გამოსაქვეყნებლად.

7. დაისვას საკითხი პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტე-
ტისა და საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების პრეზი-
დიუმის წინაშე, რათა ტურისტული საგზურების გაცემისას პირველ
რიგში გაითვალისწინოს ის მასწავლებლები, რომლებიც წარმატე-
ბით მონაწილეობდნენ „პედაგოგიურ კითხვასა“ და რესპუბლიკური
კონფერენციების მუშაობაში.

8. გაზეთ „სახალხო განათლების“ და ჟურნალ „სკოლა და
ცხოვრების“ რედაქციებმა სისტემატურად გამოაქვეყნონ კონფე-
რენციაზე მოწონებული საუკეთესო მოხსენებები; ფართოდ გააშუ-
ქონ მომავალი „პედაგოგიური კითხვისა“ და XVIII კონფერენციი-
სათვის მზადების მიმდინარეობა.

9. XVII რესპუბლიკურ სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენ-
ციაზე წარმოდგენილი საუკეთესო მოხსენებებისათვის განათლების

სამინისტროს სიგელით დაჯილდოვდეს კონფერენციის 94 მონაწილე და მადლობა გამოეცხადოს 203 მონაწილეს (დანართი დაეგზავნა ადგილებს).

10. ეს ბრძანება დანართით გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლების“ უახლოეს ნომერსა და განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

11. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დააწესოს სკოლების სამმართველოს უფროსმა ამხ. დ. ჯავახიამ.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წლის 20 ივნისის ბრძანება № 698

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მეორეწლიანობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ

ვაქვეყნებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 6 ივნისის № 346 დადგენილებას „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მეორეწლიანობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ".

„მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მეორეწლიან მოსწავლეთა რაოდენობა თანდათან კლებულობს მათი რიცხვი სკოლების მნიშვნელოვან ნაწილში კვლავ დიდია.

1964—1965 სასწავლო წლისათვის მეორეწლიანები შეადგენდნენ მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 5,6 პროცენტს. უკეთესი მდგომარეობა ამ მიმართულებით წელსაც არაა. 1965—1966 სასწავლო წელს აფხაზეთის ასსრ-ის სკოლების 93.137 მოსწავლიდან მეორეწლიანია 7365, აჭარის ასსრ-ში 57.384 მოსწავლიდან—3.276, ქ. ჭიათურაში 14.588 მოსწავლიდან—821. ახალციხის რაიონში—18.000 მოსწავლიდან—744, მახარაძის რაიონში 14.484 მოსწავლიდან—818.

მეორეწლიანობა განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული V—VIII კლასებში.

მეორეწლიანობის ძირითადი მიზეზია სუსტი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა.

მეორეწლიანთა აკადემიურ ჩამორჩენილობას ხელს უწყობს გაკვეთილების ხშირი და მასობრივი გაცდენა. შერჩევით შესწავლილი სკოლების მეორეწლიანი მოსწავლეებიდან გასული წლის I-ლ სექტემბრიდან 15 ნოემბრამდე ერთ თვეზე მეტი აქვს გაცდენილი 2073 მოსწავლეს.

ბევრ რვაწლიან და საშუალო სკოლასთან არსებულ სასკოლო ინტერნატში არ არის შექმნილი მოსწავლეთა სწავლისა და ცხო-

ვრებისათვის საჭირო პირობები, სათანადო ყურადღება არ ექცევა საყოველთაო სწავლების ფონდის გამოყენებას ხელმოკლე ოჯახების ბავშვების დასახმარებლად.

განათლების რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოები, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები სუსტად ხელმძღვანელობენ მეორეწლიან მოსწავლეთა შორის მუშაობას, საფუძვლიანად არ სწავლობენ მეორეწლიანობის გამომწვევ მიზეზებს და არ ატარებენ ქმედითს ღონისძიებებს ამ მიმართულებით არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ-ის მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასკომმა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა:

ა) სათანადო ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიონ განათლების ორგანოებს იმ მიზნით, რათა მეორეწლიან მოსწავლეებთან მუშაობა სკოლებისა და მშრომელთა ფართო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში იქნეს დაყენებული, ხოლო მეორეწლიან მოსწავლეთა რიცხვი მინიმუმამდე შემცირდეს;

ბ) არ დაუშვან სასწავლო მეცადინეობის პერიოდში მოსწავლეთა მოცდენა სკოლიდან სასოფლო სამეურნეო სამუშაოებში მონაწილეობისათვის და ყველა აუცილებელ შემთხვევაში საამისო სანქციისათვის საკითხი დააყენონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წინაშე.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ ოპერატიული ზედამხედველობის გაძლიერებითა და აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა პასუხისმგებლობის გაზრდის საფუძველზე:

ა) ყურადღების ცენტრში დააყენოს საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელება, მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენისა და აკადემიური წარუმატებლობის გამომწვევი მიზეზების შესწავლა და მიიღოს ქმედითი ზომები ამ მხრივ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ბ) გადაჭრით გაუმჯობესოს სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი, დასახოს და გაატაროს ეფექტური ღონისძიებანი მეორეწლიანობის მინიმუმა-

მდე შემცირებისა და აკადემიური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის მიზნით; უზრუნველყოს მეორეწლიან მოსწავლეთა გააქტიურება სასწავლო, კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობაში; ფართოდ განაზოგადოს მოწინავე სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობა მეორეწლიანთა შორის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) გააძლიეროს პედაგოგიურ-ორგანიზაციული მუშაობა მშობლებთან და მათ შემცველ პირებთან, მიაღწიოს იმას, რომ თითოეულ ბავშვს სათანადო გარემო და პირობები ჰქონდეს შექმნილი ოჯახში საშინაო დავალების ნორმალურად შესრულებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე — **გ. ჩოგოვაძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი — **ა. ჭირაქაძე**"

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 6 ივნისის № 346 დადგენილების შესასრულებლად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) სამინისტროების კოლეგიებსა და განათლების საბჭოებზე განიხილონ მოსწავლეთა მეორეწლიანობის მდგომარეობა და დასახონ ღონისძიებანი აღნიშნულ საკითხზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 6 ივნისის № 346 დადგენილების განუხრელად შესრულებისათვის;

ბ) მტკიცე მითითება მისცენ სკოლებს, რათა ადგილებზე შეიმუშაონ კონკრეტული გეგმები საშემოდგომო გამოცდამიცემულ მოსწავლეებთან მუშაობის თაობაზე და აღმოუჩინონ მათ საქმიანი დახმარება პროგრამული მასალის ათვისებაში;

გ) მიღწეულ იქნას, რათა სასწავლო წლის დაწყებიდანვე სკოლებმა ყურადღების ცენტრში დააყენონ დაბალი წარმატების მქონე და მეორეწლიან მოსწავლეებთან მუშაობა და ინდივიდუალური მუშაობით მიაღწიონ მეორეწლიან მოსწავლეთა რიცხვის მკვეთრად შემცირებას;

დ) რეგულარულად შეისწავლონ მოსწავლეთა საყოფაცხოვრე-

ზო პირობები და ქმედითი დახმარება გაუწიონ ხელმოკლე ოჯახ-ხების ბავშვებს, რაციონალურად გამოიყენონ საყოველთაო სავალ-დებულო სწავლების ფონდი, მიაღწიონ იმას, რომ მინიმუმამდე შემცირდეს მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენე-ბი; ფართოდ ჩააბან ამ მუშაობაში მშობელთა კოლექტივები, მჭი-დრო კავშირი დაამყარონ იმ წარმოება-დაწესებულებებთან, კოლ-მეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებთან, სადაც მოსწავლეთა მშობლები მუშაობენ, ერთობლივი ღონისძიებების დასახვისა და გატარებისათვის.

2. სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობას.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წლის 18 ივნისის ბრძანება № 683

1966 წლის ზაფხულის პერიოდში მუშებისა და მოსამსახურეების ბავშვთა დასვენების ორგანიზაციის შესახებ

1966 წლის ზაფხულის პერიოდში მუშებისა და მოსამსახურეების ბავშვთა დასვენებისა და გაჯანსაღების უკეთ ორგანიზაციის მიზნით ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 1966 წლის ზაფხულის პერიოდში განათლების სამინისტროს გამაჯანსაღებელ ობიექტებში გატარდეს 70896 ბავშვი. მათ შორის:

ა) გაყვანილი იქნას სკოლამდელი ასაკის 11836, ხოლო ადგილობრივ საბანაკო მომსახურებაზე 21190 ბავშვი, სულ გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში ჩაბმულ იქნეს სკოლამდელი ასაკის 33,026 ბავშვი (დანართი № 1);

ბ) პატარა ცემისა და ქობულეთის სატყეო სკოლა-სანატორიუმში ზაფხულის პერიოდში გატარებულ იქნეს 800 ბავშვი;

გ) გაყვანილ იქნეს აგარაკებზე, ინტერნატების და სპეცსკოლა-ინტერნატებისა და სბავშვო სახლების 1365 აღსაზრდელი; ხოლო ადგილობრივ გამაჯანსაღებელ ობიექტებზე გატარდეს 2880 აღსაზრდელი სულ 4245 (დანართი № 2);

დ) საზაფხულო საექსკურსიო-ტურისტულ ღონისძიებებში გატარდეს 27625 მოსწავლე (დანართი № 3);

ე) ქალაქებისა და რაიონების ცენტრებში დარჩენილ პიონერთათვის მოეწყოს საზაფხულო მოედნები, პიონერთა საქალაქო ბანაკები (დანართი № 4).

2. გადაეცეს პროფკავშირთა საბჭოს საადგილო ადგილებში პიონერთა ბანაკებისათვის სკოლა-ინტერნატებისა და სკოლების შენობები (დანართი № 5).

3. ქობულეთისა და პატარა ცემის სატყეო სკოლა-სანატორიუმების დირექტორებმა მოამზადონ სკოლა-სანატორიუმები სა-

ზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობისათვის და შექმნან ყოველგვარი პირობები ბავშვთა ორგანიზებულად დასვენებისა და უსაფრთხოების წესების დაცვისათვის.

4. ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლემ (ამხ. ჯ. კვარაცხელია):

ა) მოაწყოს მასობრივ რესპუბლიკურ ლონისძიებებში გამარჯვებულ მოსწავლეთათვის ექსკურსიები და უზრუნველყოს მათი ორგანიზებულად ჩატარება.

ბ) სასახლის ბაზაზე გაესნას საქალაქო პიონერთა ბანაკი 200 ბავშვისათვის, უზრუნველყოს პედაგოგიური კადრებით და გაუწიოს საჭირო მომსახურება;

გ) სასახლის ბაზაზე ჩამოაყალიბოს მეთოდური მუშაობის შტაბი პედაგოგთა და უფროს პიონერხელმძღვანელთა შემადგენლობით:

დ) ქალაქად დარჩენილ მოსწავლეთათვის მოაწყოს შეხვედრები, ექსკურსიები, კინოფილმების, თოჯინებისა და პიონერული თეატრების სპექტაკლების ჩვენება და სხვ.;

დ) შეამოწმოს საქალაქო პიონერთა ბანაკების მუშაობა და ადგილზე აღმოუჩინოს დახმარება.

5. საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან ერთად კომკავშირული აქტივისათვის მოეწყოს გუდაუთში ბანაკი 640 უფროსკლასელი მოსწავლისათვის.

6. ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული სადგურის დირექტორმა (ამხ. მ. ერისთავი):

ა) უზრუნველყოს ზემდგომი ორგანოების მიერ დამტკიცებული საექსკურსიო-ტურისტულ ლაშქრობათა ჩაატარება ორგანიზებულად და საფანდო წესების დაცვით;

ბ) მოაწყოს ტურიზმის ორგანიზატორთათვის მოკლევადიანი სემინარები.

7. ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური (ამხ შ. მანგოშვილი), ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური (ამხ. გ. ეპიტაშვილი) სადგურების დირექტორებმა უზრუნველყონ თავიანთი პროფილების მიხედვით რესპუბლიკური და საქალაქო პიონერთა ბანაკები საჭირო მეთოდური მითითებებით, მოკლევადიანი ტურისტული ლაშქრობების მარშრუტებითა და სათვალსაჩინო პლაკატებით.

8. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა ალკკ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან ერთად:

ა) რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო პიონერთა ბანაკების მუშაობაში ჩაებან სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებები, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეები, სახლები, პიონერთა და მოსწავლეთა კულტურისა და დასვენების პარკები, ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული ბაზები და საჭირო შემთხვევაში ამ დაწესებულებების ზოგიერთი სახე მუშაობისა გადაიტანონ საზაფხულო პიონერთა ბანაკებში;

ბ) საზაფხულო გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში გაგზავნონ პირველ რიგში სამამულო ომისა და შრომის ინვალიდთა და მრავალშვილიანი ოჯახების შვილები;

გ) პერიოდულად შეამოწმონ მათ ტერიტორიაზე განლაგებული ყველა სახის გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა გატარების მიმდინარეობა და უზრუნველყონ ზაფხულის პერიოდში ბავშვთა დასვენებისა და გართობის სწორი ორგანიზაცია.

9. ქ. თბილისის განათლების განყოფილებამ საქართველოს სსრ პროფკავშირთა საბჭოს მოთხოვნილების შესაბამისად:

ა) დააკომპლექტოს პიონერთა რესპუბლიკური ბანაკები ბავშვთა შორის მუშაობის გამოცდილების მქონე პედაგოგებით;

ბ) საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტთან ერთად მოაწყოს პიონერთა საქალაქო ბანაკები;

გ) უზრუნველყოს მათი დაკომპლექტება პედაგოგიური კადრებით;

დ) პერიოდულად შეამოწმოს მათი მუშაობა და ადგილზე აღმოუჩინოს პრაქტიკული დახმარება.

10. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ალ. კვაჭაძე) დროულად დააფინანსოს საზაფხულო გამაჯანსაღებელი დაწესებულებანი.

11. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ (ამხ. ს. არცელაძე) უზრუნველყოს ბავშვთა გამაჯანსაღებელი დაწესებულებები საჭირო ინვენტარითა და სათბობი მასალით.

12. სკოლების (ამხ. დ. ჯავახია), სკოლა-ინტერნატების და საბავშვო სახლების (ამხ. ვ. ჩინჩალაძე) სამმართველოებმა, სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ (ამხ. გ. აბდუშელიშვილი), პერიო-

დულად შეამოწმონ საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობის ცალკეული ობიექტები და ადგილზე აღმოუჩინონ მათ საჭირო დახმარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ო ნ ტ ი ნ გ ე ნ ტ ი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საბავშვო ბაღებისა, რომლებშიც 1966 წლის I/VII-დან ჩატარდება გამაჯანსაღებელი ღონისძიებები

№№ რიგ.	ქალაქი, რაიონი, ა/ო.	აგარაკის დასახელება	აგარაკებზე გასაყვანი ბავშვთა რაოდენობა		რაოდ. იმ ბავშვებისა, რომ. ლებ. გამაჯან. ღონისძიებები ჩატარდ ადგილზე	ს უ ლ
			სულ	მ. შ. სანატორული		
1	2	3	4	5	6	7
1	ქ. თბილისი	კოჯორი	195	—	—	195
		წყნეთი	140	—	—	140
		ბორჯომი	2225	110	—	2225
		წაღვერი	625	—	—	625
		მანგლისი	1451	110	—	1451
	ს უ ლ ქ. თბილისი		4636	220	1335	5971

1	2	3	4	5	6	7
2	ქ. ქუთაისი	ცემი	300	—	—	300
		სურამი	250	—	—	250
		ქობულეთი	300	—	—	300
		მახინჯაური	100	—	—	100
		ბორჯომი	100	—	—	605
		ს უ ლ ქ. ქუთაისი	1050	—	505	1555
3	ქ. ფ ო თ ი	წაღვერი	200	—	300	500
4	ქ. ჭიათურა	ბორჯომი	100	—	—	100
		ქობულეთი	100	—	—	100
		ს უ ლ ქ ჭიათურა	200	—	—	200
5	ქ. რუსთავი	ქობულეთი	150	—	2000	2150
		კოჯორი	150	—	—	150
		ს უ ლ ქ. რუსთავი	300	—	2000	2300

ეროვნული ბიბლიოთეკა

1	2	3	4	5	6	7
6	ქ. გორის რ.	ბორჯომი	200	—	800	1000
7	ქ. ტყიბულის რ.	საწირე	100	—	—	100
8	აბაშის რ-ნი	სურამი	125	—	140	265
9	ამბროლაურის რ-ნი	ნიკორწმინდა ამბრ. რ.	200	—	85	285
10	ახალქალაქის რ	წალვერი	50	—	50	100
11	ახალციხის რ.	—	—	—	570	570
12	ახმეტის რ-ნი	თეთრიწყლები	300	—	117	417
13	ბოგდანოვკის რ.	—	—	—	75	75
1	ბოლნისის რ-ნი	მანგლისი	150	—	—	150
15	ბორჯომი რ.	—	—	—	315	315
16	ვანის რ.	—	—	—	150	150
17	გარდაბნის რ.	წყნეთი,	100	—		100
		წავკისი	50	—		50
	ს უ ლ	გარდაბნის რ.	150	—	648	798
18	გეგეჭკორის რ-ნი	ლებარდე	100	—	215	315
19	გორის რ-ნი	—	—	—	160	160
20	გურჯაანის რ-ნი	—	—	—	160	160
21	დმანისის რ-ნი	—	—	—	120	120
22	დუშეთის რ-ნი	—	—	—	165	165
23	ზესტაფონის რ-ნი	სურამი	100	—	250	350
		ბაკურიანი	100	—	—	100
	ს უ ლ	ზესტაფონის რ-ნი	200	—	250	450

ეროვნული ბიბლიოთეკა

1	2	3	4	5	6	
24	ზუგდიდის რ-ნი	ლებარდე	100	—	—	100
		სურამი	50	—	900	50
		ს უ ლ ზუგდიდის რ.	150	—		1050
25	ყაზბეგის რ-ნი	—	—	—	155	155
26	ქარელის რ-ნი	(ზღუდერი ქარელის რ.)	80	—	—	80
		სურამი	120	—	—	120
		ს უ ლ ქარელის რ.	200	—	—	200
27	კასპის რ-ნი	—	—	—	339	339
28	ყვარლის რ-ნი	ფიქალები	300	—	200	500
29	ლაგოდეხის რ ნი	წყნეთი	100	—	360	460
30	ლანჩხუთის რ-ნი	გრიგოლეთი (ლანჩხუთის რ.)	50	—	35	85
31	ლენტეხის რ-ნი	მუაში (ლენტეხის რ.)	150	—	—	150
32	მარნეულის რ-ნი	—	—	—	270	270
39	მახარაძე	ქობულეთი	175	—	—	175
		მაგნიტიტი	50	—	—	50
		ს უ ლ მახარაძის რ.	225	—	—	225

ეროვნული ბიბლიოთეკა

1	2	3	4	5	6	7
34	მაიაკოვსკი	—	—	—	350	350
35	მესტია	—	—	—	200	200
36	მცხეთა	—	—	—	125	125
37	ონის რ-ნი	ზოვი	75	—	175	250
38	ორჯონიკიძის რ ნი	—	—	—	50	50
39	საგარეჯოს რ-ნი	ციეკოდა	50	—	30	80
40	სამტრედიის რ-ნი	ქვიშხეთი	100	—	255	355
41	საჩხერის რ-ნი	ბორჯომი	90	—	—	90
		ქობულეთი	90	—	130	220
	სულ საჩხერის რ-ნი		180	—	130	310
42	სიღნაღის რ-ნი	ბოდბე	400	—	200	600
43	თელავის რ-ნი	—	—	—	789	789
44	თერჯოლის რ-ნი	—	—	—	100	00
45	თიანეთის რ ნი	—	—	—	240	240
46	ხაშურის რ-ნი	—	—	—	175	175
47	ხობის რ-ნი	სურამი	75	—	125	200
48	თეთრიწყაროს რ-ნი	—	—	—	200	200
49	ცაგერის რ-ნი	ლაილაში	50	—	—	50
50	წალენჯიხის რ-ნი	მუხური	200	—	—	200
51	წალკის რ-ნი	—	—	—	250	250
52	წითელწყაროს რ ნი	—	—	—	616	616
53	წულუკიძის რ-ნი	გორდი	50	—	50	100

1	2	3	4	5	6	7
54	ცხაკაიას რ-ნი	წაღვერი	200	—	80	280
55	წყალტუბოს რ-ნი	ქობულეთი	50	—	315	365
56	ჩოხატაურის რ-ნი	—	—	—	80	80
57	ჩხოროწყუს რ-ნი	მუხური	50	—	35	85
58	ადიგენის რ-ნი	—	—	—	84	84
59	ასპინძის რ-ნი	—	—	—	138	138
	აფხაზეთის ასსრ	პიცუნდა (აფხაზეთის ასსრ)	75			75
		ოჩამჩირე	100			100
		ბორჯომი	50			100
		სურამი	50			75
		ცებელდა (აფხაზეთის ასსრ)	75			
		ლიხნი (აფხაზეთის ასსრ)	100			100
	სულ აფხაზეთის ასსრ		450	75	4074	4524
	აჭარის ასსრ	სურამი	150	—	1325	1475

1	2	3	4	5	6	7
სამხრეთ ოსეთის ა/ო		ჯავის რ-ნი	620	—	580	1200
	სულ სამხრეთ ოსეთის ა/ო		620	—	580	1200
სულ რესპუბლიკაში		—	11836	295	21190	33026

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ო ნ ტ ი ნ გ ე ნ ტ ი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების აღსაზრდელებისა, რომლებთანაც 1966 წლის ზაფხულში ჩატარდება გამაჯანსაღებელი ღ ო ნ ი ს ძ ი ე ბ ა ნ ი

№№ რიგზე	საბავშვო სახლის, სკოლა-ინტერნატის დასახელება	აგარაკის დასახელება	აღსაზრდ. რაოდენ.		ს უ ლ	
			აგარაკზე გადასაყ.	ადგილზე გამაჯან. ღონისძ. გადამსვ.		
1	2	3	4	5	6	7
1	მიუსერას საბავშვო სახლი	—		100	100	
2	ბათუმის „	ბეშუმი	90		90	
3	მახინჯაურის „	—		90	90	
4	ქურთის „			120	120	
5	ლენინგორის „	ბათუმი	90		90	
6	თბილისის ვაკის „	მახინჯაური	40	50	90	
7	ჭიათურის № 1 „	სურამი	60		60	
8	რუსთავის „	თეთრიწყარო	130		130	
9	სამგორის „	ნორიო	130	150	280	

ეროვნული ბიბლიოთეკა

1	2	3	4	5	6	7
10	კოჯრის № 1, 2, 3, 4, 5, 6,	—		655	655	
11	ასპინძის საბ. სახ.	—		60	60	
12	გეგეჭკორის „	ლებარდე	150		150	
13	კარდანახის „	—		90	90	
14	ახალქალაქის „	—		60	60	
15	ონის „	საგლოლო (ონის)	60		60	
16	ეწერის „	სურამი	90		90	
17	საჩხერის „	ბორჯომი, დაბა	90		90	
18	თელავის „	—		60	60	
19	შუამთის „	—		100	100	
20	ვაშლოვანის „	—		90	90	
21	სურამის „	—		145	145	
22	ჩოხატაურის „	ბახმარო	60	—	60	
23	ჭიათურის „	ბაკურიანი	120	—	120	
24	ბაბუშერას სკოლა-ინტერნ.	რიცა	155	—	155	
25	მახარაძის „	ბახმარო	100	—	100	
26	ბათუმის (სალიბ.)	—	—	100	100	
27	ბოდბის „	ბოდბე	—	280	280	
28	ბორდის „	ბორდი	—	280	280	
29	ბეთანიის „	ბეთანია	—	250	250	
30	თელავის „		—	200	200	
			1365	2810	4245	

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების

სამმართველოს უფროსი **ი. ჩინჩალაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონტინგენტი

იმ მოსწავლეებისა, რომლებიც გაერთიანებულნი არიან გამაჯანსაღებელ ლონისძიებებში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საექსკურსიო-ტურისტულ ბაზებში და მშობლიური მხარის შესწავლის მიზნით მოწყობილ ლაშქრობებში 1966 წლისათვის

	შეკრების ადგილი	ჯამი	ბავშვების რაოდენობა მათ შორის ნაკადებად			შეკრების დღეების რაოდენ.	გასვლის თარიღი
			ივნისი	ივლისი	აგვისტო		
1	2	3	4	5	6	7	8
სულ რესპუბლიკაში		27625	5795	13460	8370	—	—
მათ შორის							
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდური კაბინეტი	თბილისი	600	200	200	200	30	15/VI
თბილისის ბ. ინელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე	„	60	20	40	—	15	30/VI
თბილისის განათლების განყოფილების სპორტული ბანაკი	„	625	250	250	125	25	1/VI

ეროვნული ბიბლიოთეკა

1	2	3	4	5	6	7	8
აფხაზეთის ასსრ	—	3000	500	1700	800	10	1/VI
მათ შორის:							
სოხუმის ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული ბაზა	სოხუმი	1000	200	500	300	„	„
აჭარის ასსრ	—	2500	300	1600	600	„	„
მათ შორის:							
ბათუმის ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული ბაზა	ბათუმი	500	—	300	200	10	„
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	—	1000	400	300	300	„	10/VI
მათ შორის:							
ცხინვალის ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული ბაზა	ცხინვალი	450	100	250	100	„	„
ბავშვთა ტურისტული სადგურის							
ნორჩ ტურისტთა ბანაკი	ბორჯომი	1200	100	600	500	„	„
ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული ბაზები:							
ქუთაისის	ქუთაისი	600	100	300	200	„	„
თელავის	თელავი	400	100	200	100	„	„

1	2	3	4	5	6	7	8
გორის	გორი	600	100	300	200	10	10/VI
ჭიათურის	ჭიათურა	400	100	200	100	„	„
ფოთის	ფოთი	400	100	200	100	„	„
ზუგდიდის	ზუგდიდი	400	100	200	100	„	„
მცხეთის	მცხეთა	600	150	300	150	„	„
თბილისის	თბილისი	1500	500	500	500	„	„
განათლების განყოფილებების კომკავშირის ორგანიზაციების მიერ მშობლიური მხარის შესწავლის მიზნით მოწყობილი ლაშქრობები და ექსკურსიები:							
1. ქ. თბილისი	თბილისი	600	200	200	200	„	1/VI
2. ქ. ქუთაისი	ქუთაისი	800	100	400	300	„	„
3. ქ. ფოთი	ფოთი	150	25	100	25	„	„
4. ქ. რუსთავი	რუსთავი	300	50	150	100	„	„
5. ქ. გორი	გორი	100	25	50	25	„	„
6. ქ. ჭიათურა	ჭიათურა	100	25	50	25	„	„
7. ქ. ტყიბული	ტყიბული	60	—	30	30	„	„
. ა ბ ა შ ი ს რაიონი	აბაშა	100	20	50	30	„	„
2. ადიგენის „	ადიგენი	100	20	50	30	„	„
3. ამბროლაურის „	ამბროლ.	200	45	100	55	„	„
4. ასპინძის „	ასპინძა	100	20	50	30	„	„
5. ახალქალაქის „	ახალქალ.	300	75	150	75	„	„
6. ახალციხის „	ახალციხე	400	90	200	110	„	„
7. ახმეტის „	ახმეტა	100	20	50	30	„	„

1	2	3	4	5	6	7	8
8. ბოლნისის რაიონი	ბოლნისი	400	100	170	130	10	1/VI
9. ბორჯომის „	ბორჯომი	370	50	220	100	„	„
10. ბოგდანოვკის „	ბოგდან.	100	25	50	25	„	„
11. ვანის „	ვანი	180	30	90	60	„	„
12. გარდაბნის „	გარდაბ.	180	20	50	110	„	„
13. გეგეჭკორის „	გეგეჭკ.	280	40	180	60	„	„
14. გორის „	გორი	300	100	100	100	„	„
15. გურჯაანის „	გურჯაანი	350	150	100	100	„	„
16. დმანისის „	დმანისი	100	20	50	30	„	„
17. დუშეთის „	დუშეთი	360	50	210	100	„	„
18. ზესტაფონის „	ზესტაფ.	400	30	185	185	„	„
19. ზუგდიდის „	ზუგდიდი	480	30	265	185	„	„
20. ყაზბეგის „	ყაზბეგი	100	20	50	30	„	„
21. ქარელის „	ქარელი	100	25	50	25	„	„
22. კასპის „	კასპი	150	20	75	55	„	„
23. ყვარლის „	ყვარელი	310	50	180	80	„	„
24. ლაგოდეხის „	ლაგოდეხი	150	30	70	50	„	„
25. ლანჩხუთის „	ლანჩხუთი	150	30	70	50	„	„
26. ლენტეხის „	ლენტეხი	200	25	90	85	„	„
27. მარნეულის „	მარნეული	150	30	70	50	„	„
28. მახარაძის „	მახარაძე	370	55	120	195	„	„
29. მაიაკოვსკის „	მაიაკოვსკი	280	55	140	85	„	„
30. მესტიის „	მესტია	100	25	50	25	„	„
31. მცხეთის „	მცხეთა	200	30	100	70	„	„
32. ონის „	ონი	100	25	50	25	„	„

1	2	3	4	5	6	7	
33. ორჯონიკიძის რაიონი	ორჯონ.	100	25	50	25	10	1/VI
34. სამტრედიის „	სამტრედ.	400	50	175	175	„	„
35. საჩხერის „	საჩხერე	720	200	320	200	„	„
36. საგარეჯოს „	საგარეჯო	50	—	25	25	„	„
37. სიღნაღის „	სიღნაღი	200	50	100	50	„	„
38. თელავის „	თელავი	300	50	150	100	„	„
39. თერჯოლის „	თერჯოლა	100	25	50	25	„	„
40. თეთრიწყაროს „	თეთრიწყ.	200	50	100	50	„	„
41. თიანეთის „	თიანეთი	135	40	70	25	„	„
42. ხაშურის „	ხაშური	480	130	250	100	„	„
43. ხობის „	ხობი	100	25	50	25	„	„
44. ცაგერის „	ცაგერი	135	40	70	25	„	„
45. წალენჯიხის „	წალენჯიხა	100	25	50	25	„	„
46. წალკის „	წალკა	100	25	50	25	„	„
47. წითელწყაროს „	წითელწყ.	100	25	50	25	„	„
48. წულუკიძის „	წულუკიძე	200	30	100	70	„	„
49. ცხაკაიას „	ცხაკაია	300	55	150	95	„	„
50. წყალტუბოს „	წყალტუბო	550	100	245	205	„	„
51. ჩოხატაურის „	ჩოხატაური	100	25	50	25	„	„
52. ჩხოროწყუს „	ჩხოროწყუ	100	25	50	25	„	„

ბავშვთა ტურისტული სადგურის დირექტორი მ. ერისთავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 4

კონტინგენტი

იმ ბავშვებისა, რომლებიც დაისვენებენ საზაფხულო მოედნებზე (საქალაქო პიონერთა ბანაკები) 1966 წლის ზაფხულის პერიოდში

1. აფხაზეთი—500
2. აჭარა—400
3. სამხრეთ ოსეთი—300
4. ქ. თბილისი—950
5. ქ. ქუთაისი—400
6. ქ. ფოთი—200
7. ქ. ჭიათურა—200
8. ქ. რუსთავი—200
9. ქ. გორი—100
10. ქ. ბორჯომი—100
11. ქ. ზესტაფონი—100
12. ქ. ზუგდიდი—150
13. ქ. კასპი—100
14. ქ. თელავი—150
15. ქ. ტყიბული—150
16. ხაშური—100
17. ცხაკაია—100
18. ამბროლაური—100
19. ახალციხე—100
20. გურჯაანი—100
21. ლანჩხუთი—100
22. მახარაძე—150
23. სიღნაღი—150
24. დუშეთი—100
25. ბოლნისი—100
26. გორის რაიონი—100
27. ახალქალაქი—100
28. ყვარელი—100
29. ორჯონიკიძე—100
30. ქარელი—100
31. გეგეჭკორი—100
32. ჩოხატაური—100
33. თერჯოლა—100
34. დმანისი—100

სულ—6.000

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 5

ს ი ა

იმ სკოლებისა, რომელიც გადაეცა პროფკავშირთა საბჭოს 1966 წ. ზაფხულის პერიოდში პიონერთა ბანაკებისათვის

გურჯაანის სკოლა-ინტერნატი
წალენჯიხის საშუალო სკოლა
თიანეთის სკოლა-ინტერნატი
საგურამოს სკოლა-ინტერნატი
ბორჯომის რაიონის ახალდაბის საშუალო სკოლა
თელავის მესამე საშ. სკოლა
გეგეჭკორის რაიონის სალხინოს სკოლა-ინტერნატი
ახალდაბის სკოლა-ინტერნატი
ფოთის სკოლა-ინტერნატი

აფხაზეთის ასსრ

კალდახვარის სკოლა-ინტერნატი
ოჩამჩირის ქართული საშ. სკოლა
ბაბუშერის სკოლა-ინტერნატი
განთიადის № 1 სკ.-ინტერნატი
დრანდის სკოლა-ინტერნატი

აჭარის ასსრ

ქობულეთის მე-4 საშ. სკოლა
ბათუმის № 1 სკოლა-ინტერნატი
სალიბაურის სკოლა-ინტერნატი
ჯავის სკოლა-ინტერნატი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

1. ბრძანება № 483—სამტრედიის, გურჯაანის, ყვარლისა და ასმეტის რაიონების სკოლამდელ დაწესებულებათა სასწავლო-აღზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 3
2. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის დადგენილება საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 8 სექტემბრის ერთობლივი დადგენილების „დიდი ოქტომბრის სოციალ სტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი ძიძიანილი სკოლისგარეშე დაწესებულებების რესპუბლიკური დათვალიერების ჩატარების შესახებ შესრულების შემოწმების შედეგები ზუგდიდის, სამტრედიისა და გურჯაანის რაიონებში 8
3. ბრძანება № 566—ქ. თბილისის მუშა ახალგაზრდობის ზოგიერთ სკოლაში მოსაწვლეთა დისციპლინის მდგომარეობის შესახებ 17
4. ბრძანება № 569—ყრუ მოქალაქეთა საერთო და პროფესიული განათლების, შრომითი მოწყობისა და მოსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 22
5. ბრძანება № 603—რესპუბლიკაში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების თაობაზე საქართველოს კპ ცკ-ის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 28 აპრილის № 272 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ 25
6. დებულება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტისა 35
7. ბრძანება № 680—კასპის საშუალო და ყვარლის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 38
8. ბრძანება № 685—რესპუბლიკის ზოგიერთ სკოლამდელ დაწესებულებაში ბავშვების მიღებისა და მათი სახლში გასტუმრების ორგანიზაციის შემოწმების შედეგების შესახებ 43
9. ბრძანება № 697—XVII რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის შედეგებისა და XVII კონფერენციის მზადების შესახებ . . 46
10. ბრძანება № 693—ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მეორეწლეობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ 50
11. ბრძანება № 683—1966 წლის ზაფხულის პერიოდში მუშებისა და მოსამსახურეების ბავშვთა დასვენების ორგანიზაციის შესახებ . . . 54

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

ფასი 10 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/VI-66 წ. ანაწყობის ზომა 6×9½
ქაღალდის ზომა 60×84. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 5.

ტირაჟი 5000. უე—01470 შეკვ. № 846.

თბილისის სტამბა № 11, უშ. ჩხეიძის ქუჩა № 19
Тбилисская типография № 11, ул. Уш. Чхеидзе № 19